საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1696
27.10.2026

ბრძანება

1696-01-4-202610270857

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 22 მაისის N04/803 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, მე-17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი, მეორე პუნქტებისა და 29-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს მოკვლევის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილება „ა(ა)იპ „მგვ საქართველოს“ (ს/ნ: 400402060) 2026 წლის 07 აპრილის საჩივრის დასაშვებად ცნობის, საქმის მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ” საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 22 მაისის N04/803 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე“ - თანდართული სახით;

2. არ დადასტურდეს ა(ა)იპ „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ (ს/ნ: 406350112) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევა;

3. ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციას“ (ს/ნ: 406350112) დაევალოს, წინამდებარე ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციის (რეკომენდაცია N1) განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია სააგენტოს წერილობით წარუდგინოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) თვის ვადაში;

4. ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ (ს/ნ: 406350112) და მისი წევრი/პოტენციური წევრი მწარმოებლების მიმართ გაცემული

განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციის (რეკომენდაცია N2) ფარგლებში, ასოციაციას დაევალოს, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი წლის განმავლობაში, ყოველ 6 (ექვს) თვეში ერთხელ, წერილობით წარუდგინოს სააგენტოს ამ ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილებით განსაზღვრული განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციით განსაზღვრული პროცედურის დაწყების/მიმდინარეობის და განხილვის შედეგების შესახებ ინფორმაცია;

5. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარედგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია;

6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურს წარედგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია;

7. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარედგინოს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია;

8. დამტკიცებული გადაწყვეტილება 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გადაეგზავნოთ მომჩივან და მოპასუხე მხარეებს, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

9. წინამდებარე გადაწყვეტილება, კონფიდენციალურობის დაცვით, გადაეგზავნოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურს;

10. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

11. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: მოკვლევის ჯგუფის 2026 წლის 23 ნოემბრის N03/1802 მოხსენებითი ბარათი.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

გადაწყვეტილება

„ა(ა)იპ „მგვ საქართველოს“ (ს/ნ: 400402060) 2026 წლის 07 აპრილის საჩივრის დასაშვებად ცნობის, საქმის მოკვლევის დაწყებისა და მოკვლევის ჯგუფის შექმნის შესახებ” საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2026 წლის 22 მაისის N04/803 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის თაობაზე

(ა(ა)იპ „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ (ს/ნ: 406350112) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე)

თბილისი

2026 წელი

შინაარსი

თავი I. აღწერილობითი ნაწილი 4

1. მომჩივნის პოზიცია და საქმის მოკლე შინაარსი 4

2. მოპასუხის პოზიცია 5

3. მომჩივნის პოზიცია მოპასუხის არგუმენტებთან დაკავშირებით 8

4. ა(ა)იპ „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციიდან“ გასვლის მსურველი კომპანიების პოზიცია 9

5. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრები 11

5.1. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მოპასუხესთან 11

5.2. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მომჩივანთან 11

6. ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები 12

6.1. ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან 12

6.2. ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა სსიპ შემოსავლების სამსახურთან 13

7. გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით მხარეების პოზიცია 14

8. შემაჯამებელი სხდომა 15

თავი II . ნორმატიული რეგულირება 16

1. მატერიალური ნაწილი 16

2.პროცედურული ნაწილი 17

3. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის მარეგულირებელი კანონმდებლობა 18

4. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ევროკავშირის სამართალში 19

თავი III. შესაბამისი ბაზარი 21

1. ზოგადი მიმოხილვა 21

2. შესაბამისი ბაზრის საზღვრები 22

2.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები 22

2.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები 23

2.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო 23

თავი IV. სააგენტოს შეფასება 24

1. ასოციაცია, როგორც „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის სუბიექტი 24

2. „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტი 25
3. დომინანტური მდგომარეობა 26
4. ქმედების შეფასება კანონის მე-6 მუხლის დარღვევასთან მიმართებით 30
4.1. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება 30
4.2. ასოციაციის წესდებაში განხორციელებული ცვლილებები და წევრი მწარმოებლების ინფორმირებულობა 33
4.3. მგვ ორგანიზაციის წევრობიდან გასვლის პროცესთან დაკავშირებული გარემოებები 35
სარეზოლუციო ნაწილი 42
რეკომენდაციები 43

თავი I. აღწერილობითი ნაწილი

1. მომჩივნის პოზიცია და საქმის მოკლე შინაარსი

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) 2026 წლის 07 აპრილს წარმოდგენილ იქნა ა(ა)იპ „მგვ საქართველოს“ (ს/ნ: 400402060) (შემდგომში - მომჩივანი/“მგვ საქართველო“) საჩივარი (რეგ. N01/3182) ა(ა)იპ „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ (ს/ნ: 406350112) (შემდგომში - მოპასუხე/„მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-6 მუხლის (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) შესაძლო დარღვევის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ „მგვ საქართველოს“ დამფუძნებელთა საბჭოს შემადგენლობაში შედიან: შპს „სინათლე“ (ს/ნ: 448383767), შპს „კორეან ელექტრონიქსი“ (ს/ნ: 406221921) და შპს „ტექნო ბუმი“ (ს/ნ: 205286199).

საჩივრის თანახმად, საკითხი შეეხება მგვ-ს (მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება) შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მომჩივანს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბრძანებით[1] ექვსი წლის ვადით მიენიჭა ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის ავტორიზაცია, რის ფარგლებშიც მას დაევალა წევრ მწარმოებლებთან დადებული ხელშეკრულებების, აგრეთვე, მათი წინა მგვ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

მომჩივნის განმარტებით, მან წარადგინა წევრ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები, თუმცა ვერ უზრუნველყო წინა მგვ ორგანიზაციასთან (მოპასუხე) ხელშეკრულებების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა, მიუხედავად იმისა, რომ მწარმოებლების მიერ 2025 წლის საანგარიშო წლის დასრულებამდე წარდგენილი იყო წევრობის შეწყვეტის შესახებ შესაბამისი განცხადებები.

მომჩივნის მითითებით, მოპასუხე მიზანმიმართულად უშლიდა ხელს მისი წევრების ორგანიზაციიდან გასვლას და მომჩივანთან გაწევრიანებას. მისი განმარტებით, აღნიშნული ქმედებები შეეხო იმ მწარმოებლებს, რომლებმაც გამოთქვეს „მგვ საქართველოში“ გაწევრიანების სურვილი, კერძოდ, შპს „კორეან ელექტრონიქსს“, შპს „გლობალ დისტრიბუშენს“, შპს „ტექნო ჰაუსს“, შპს „სინათლეს“ და შპს „ფრანკო“.

საჩივრის მიხედვით, შპს „კორეან ელექტრონიქსი“ 2022 წლიდან იყო ა(ა)იპ „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ წევრი და ასრულებდა შესაბამის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. 2025 წლის 28 ნოემბერს კომპანიამ, ხელშეკრულებითა და წესდებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიმართა ასოციაციას წევრობის ნებაყოფლობითი შეწყვეტის მოთხოვნით. მომჩივნის მითითებით, ასოციაციამ დაარღვია წესდებით განსაზღვრული ერთკვირიანი ვადა გადაწყვეტილების შეტყობინებისათვის: განცხადების ფორმალური ხარვეზის შესახებ

[1] 2025 წლის 31 დეკემბრის N827/ს ბრძანება

კომპანიას ეცნობა მხოლოდ 2025 წლის 15 დეკემბერს, ხოლო 2026 წლის 16 იანვარს მოპასუხემ დამატებით მოითხოვა შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან ცნობის წარმოდგენა (2022 წლიდან განცხადების წარდგენამდე პერიოდისთვის), აგრეთვე მგვ-ს რეესტრში ყოველთვიურად და ნახევარწლიურად წარმოდგენილი მონაცემები, რომელთა წარდგენაც შესაძლებელი იყო მხოლოდ 2026 წლის საანგარიშო პერიოდში.

მომჩივნის განმარტებით, მოთხოვნილი ინფორმაცია კომპანიამ ასოციაციას წარუდგინა 2026 წლის 27 იანვარს. მიუხედავად ამისა, 2026 წლის 30 იანვრის წერილით ასოციაციამ უსაფუძვლოდ მოითხოვა 2026 წლის იანვრის დეკლარირება, მგვ-ს პორტალზე ინვოისის გენერირებისა და რეციკლირების შენატანის გადახდის მიზნით, რაც წევრობის შეწყვეტის წინაპირობად დაასახელა. მომჩივნის პოზიციით, აღნიშნული მოთხოვნა იყო უსაფუძვლო, ვინაიდან კომპანიას წევრობის შეწყვეტა ჯერ კიდევ 2025 წლის ნოემბერში ჰქონდა ინიცირებული. ამასთან, კომპანიამ სრულად დაფარა 2025 წლის საანგარიშო პერიოდის ვალდებულება ( ), ხოლო 2026 წლის იანვრის გადასახადი არ დაფარა იმ საფუძვლით, რომ წინა წლის ვალდებულებები უკვე შესრულებული ჰქონდა და წევრობის შეწყვეტას ითხოვდა.

„მგვ საქართველოს“ განმარტებით, მოპასუხის მიერ მოთხოვნილი ვალდებულებების შესრულება, ხელშეკრულებითა და წესდებით განსაზღვრული ვადის დარღვევის გამო, მხოლოდ 2026 წლის იანვარში იყო შესაძლებელი. მომჩივნის მითითებით, ასოციაციამ აღნიშნული გარემოება 2026 წლის განმავლობაში წევრობის გაგრძელების საფუძვლად მიიჩნია და კომპანიას მოსთხოვა იანვრის თვის გადასახადის გადახდა, ასევე, განუმარტა, რომ „კომპანიას წევრობის დატოვების უფლება აქვს უკვე ახალი საანგარიშო წლის 2026 წლის ბოლოს“.

მომჩივნის პოზიციით, მოპასუხის ხელმძღვანელობის განზრახი და მიზანმიმართული ქმედებების შედეგად, მწარმოებლებს ეზღუდებათ შესაძლებლობა, თავისუფალი ნების ფარგლებში, მიიღონ გადაწყვეტილება მგვ ორგანიზაციაში წევრობის გაგრძელების ან შეწყვეტის შესახებ, რაც მისი შეფასებით არღვევს კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

2. მოპასუხის პოზიცია

კანონმდებლობით დადგენილი წესით საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გასაცნობად და პოზიციის წარმოსადგენად გადაეგზავნა მოპასუხე მხარეს,[2] რომლისგანაც სააგენტოში წარმოდგენილ იქნა წერილობითი პოზიცია.[3]

[2] სააგენტოს 2026 წლის 08 აპრილის N02/2360 წერილი
[3] სააგენტოში შემოსული N01/3625 (27.04.2026) წერილი

მოპასუხის განმარტებით, საჩივარი ეფუძნება არასწორ და არაობიექტურ გარემოებებს. მისი მითითებით, ასოციაცია 2021 წელს შეიქმნა და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რის გამოც მას არ გააჩნია ადმინისტრაციული ან სამართლებრივი ბარიერების დადგენის უფლებამოსილება. ამასთან, მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული წესები და პროცედურები რეგულირდება შესაბამისი სამართლებრივი აქტებით[4], ხოლო ასოციაციის წევრობასთან დაკავშირებული ურთიერთობები - წესდებითა და ხელშეკრულებებით, რომელთა პირობები წევრი კომპანიებისთვის წინასწარ იყო ცნობილი.

მოპასუხის განმარტებით, მოქმედი რეგულაციების[5], წესდებისა და ხელშეკრულების შესაბამისად, წევრობის შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულებისა და ასოციაციის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების სრულად დაფარვის შემდეგ. შესაბამისად, ავტორიზაციის პირობების შეუსრულებლობა განპირობებული იყო თავად მწარმოებლების მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობით და არა ასოციაციის ქმედებებით.

მოპასუხის განმარტებით, წევრი კომპანიების მხრიდან წევრობის შეწყვეტის შესახებ პირველადი განცხადებები წარმოდგენილ იქნა 2025 წლის ნოემბრის ბოლოსა და დეკემბრის დასაწყისში. 2025 წლის 15 დეკემბრის წერილებით ასოციაციამ კომპანიებს განუმარტა წესდებით განსაზღვრული წევრობის შეწყვეტის პროცედურა, მათ შორის, განაცხადის წარდგენის ვადები (საანგარიშო პერიოდის 20 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, თუმცა არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშო პერიოდის 5 იანვრისა). მოპასუხის მითითებით, კომპანიებმა განაცხადები ხელახლა წარადგინეს 29 და 31 დეკემბერს, აგრეთვე 5 იანვარს, თუმცა არ უზრუნველყვეს ასოციაციის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების შესრულება.

მოპასუხის განმარტებით, 2026 წლის 16 იანვრის წერილებით კომპანიებს განემარტათ წევრობიდან გასვლის პროცედურა და ვადები - განაცხადების განხილვის საბოლოო ვადა იყო 2026 წლის 31 იანვარი და პროცესის დასრულებისთვის აუცილებელი იყო შესაბამისი დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენა. მოპასუხის მითითებით, 2026 წლის იანვარში კომპანიებმა წარმოადგინეს სსიპ შემოსავლების სამსახურიდან შესაბამისი ცნობები, რის საფუძველზეც დაიწყო დოკუმენტაციის განხილვა და ურთიერთშედარება. წარმოდგენილი მასალა მოიცავდა დიდი მოცულობის ინფორმაციას იმპორტის შესახებ, რის გამოც განხილვა განხორციელდა დაჩქარებული წესით, რათა არ შეფერხებულიყო წევრობიდან გასვლის პროცესი. ასევე, 2025 წლის 20 დეკემბრიდან 2026 წლის 5 იანვრამდე ასოციაციას მიმართა რამდენიმე ასეულმა კომპანიამ წევრობის შეწყვეტის მოთხოვნით. იმ კომპანიებს, რომლებმაც სრულად წარმოადგინეს დოკუმენტაცია და შეასრულეს ფინანსური ვალდებულებები, წევრობა შეუწყდათ. კერძოდ, 2025 წელს ასოციაციის წევრობა შეუწყდა 337 კომპანიას, ხოლო 2026 წელს – 246 კომპანიას. მოპასუხე მიუთითებს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურიდან

[4] საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის N324, N325, N326 და N327 დადგენილებებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტები

[5] „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის N326 დადგენილება

წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მომჩივანის წევრ კომპანიებს, ასოციაციაში გაწევრიანების პერიოდიდან არ ჰქონდათ დეკლარირებული ასოციაციის პორტალზე ათასობით ტონა იმპორტირებული საქონლის შესახებ ინფორმაცია, რის საფუძველზეც უნდა განსაზღვრულიყო მათი მხრიდან ასოციაციისთვის გადასახდელი რეციკლირების წინასწარი შენატანი. მოპასუხის განმარტებით, 2026 წლის იანვრის მდგომარეობით აღნიშნული კომპანიების დავალიანება აღემატებოდა ლარს, რომლის დაახლოებით 80% დღემდე არ არის დაფარული.[6] მოპასუხე აღნიშნავს, რომ კომპანიები სისტემატურად არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს და არ ახდენდნენ იმპორტირებული საქონლის დეკლარირებას, რითაც თავს არიდებდნენ რეციკლირების შენატანის გადახდას.

მოპასუხის განმარტებით, მომჩივანი უთითებს წესდების 9.2 და 9.3 პუნქტებზე, თუმცა უგულებელყოფს 9.4 მუხლს, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს განცხადების წარდგენის ვადებს - მომჩივანმა თავად დაარღვია აღნიშნული ვადა და მიუხედავად ამისა, პასუხისმგებლობას მგვ ორგანიზაციას აკისრებს.

ამასთან, მოპასუხის განმარტებით, უსაფუძვლოა მომჩივნის მითითება იმის თაობაზე, თითქოს წესდებით საანგარიშო პერიოდი მკაფიოდ განსაზღვრული არ იყო, ვინაიდან აღნიშნული პირდაპირ არის გათვალისწინებული წესდების 9.2 მუხლით. ასევე არასწორია მისი აპელირება ერთკვირიანი ვადის დარღვევაზე, რადგან 9.3 მუხლით განსაზღვრული ვადა ეხება არა ნებაყოფლობით გასვლას, არამედ სხვა საფუძვლებით (ლიკვიდაცია, საქმიანობის შეწყვეტა, კომერციული რეორგანიზაციის შედეგად წევრობის შეწყვეტა). ხოლო ნებაყოფლობით გასვლის პირობები, მათ შორის, საბოლოო ვადები და დავალიანების არქონის ვალდებულება, მკაფიოდ არის განსაზღვრული წესდების 9.4 მუხლით, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილების საბოლოო ვადად დადგენილია იანვრის ბოლო რიცხვი, სადამდეც უნდა შესრულებულიყო ყველა ფინანსური ვალდებულება, რაც მომჩივანს არ განუხორციელებია.

მოპასუხე მიუთითებს, რომ 16 იანვრის წერილები კომპანიებს იმავე დღეს ჩაბარდათ, ხოლო მომჩივნისთვის მოთხოვნილი ინფორმაციის წარმოდგენა ობიექტურად შესაძლებელი იყო მოკლე დროში (რამდენიმე საათი). მიუხედავად ამისა, მომჩივანმა პასუხი მხოლოდ 27 იანვარს წარადგინა, რაც ვერ ჩაითვლება „მიღებისთანავე“ ან „დაუყოვნებლად“ რეაგირებად. ამასთან, მათთვის ცნობილი იყო, რომ განცხადების განხილვის საბოლოო ვადა იანვრის ბოლოს იწურებოდა.

მოპასუხე, ასევე, არ ეთანხმება მომჩივნის პრეტენზიას, რომ მან უსაფუძვლოდ მოითხოვა 2026 წლის იანვრის რეციკლირების შენატანის გადახდა. ის მიუთითებს, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის (შემგომში - ტექნიკური რეგლამენტი/რეგლამენტი) მოთხოვნებიდან გამომდინარე, მომჩივნის მიერ დასახელებული კომპანიები დღემდე განიხილებიან ასოციაციის წევრებად, რის

[6] სააგენტოში წერილის წარმოდგენის პერიოდისთვის (N01/3625; თარიღი: 27.04.2026)

საფუძველზეც მათ მიმართ შესაბამისი ფინანსური ვალდებულებები ძალაში რჩება. ამასთან, ასოციაციის წევრობის პერიოდში მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის შედეგად წარმოშობილი ნარჩენების მართვის ვალდებულება ეკისრება ასოციაციას. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი პერიოდისთვის რეციკლირების შენატანის გადახდა სავალდებულოა.

ამასთან, მოპასუხის მითითებით, მომჩივანი არასწორად ასახავს მიმდინარე ფინანსური ვალდებულების ოდენობას ლარის სახით და მიუთითებს, რომ დავალიანება იანვრის თვეში შეადგენდა - ლარს, რომლის მხოლოდ ნაწილი იქნა დაფარული ამავე თვის ბოლოს. მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული გარემოებები მიუთითებს ფინანსური მონაცემების არასწორად წარმოდგენაზე, რის შედეგადაც კომპანიები ფინანსური უპირატესობით სარგებლობდნენ, მაშინ როდესაც ასოციაციის წევრი ყველა იმპორტიორი ერთგვაროვან ტარიფს იხდის - 1 ტონა ელექტრო და ელექტრონულ ტექნიკაზე 77 ლარის ოდენობით.

მოპასუხე, ასევე, განმარტავს, რომ კომპანიებისთვის არ მიუწოდებია ინფორმაცია არც ახალი საანგარიშო პერიოდის დაწყებისა და არც წევრობის ავტომატურად წლის ბოლომდე გაგრძელების შესახებ. კომპანიებს განემარტათ, რომ მათი განცხადებები 2026 წლის 31 იანვრამდე განიხილებოდა და წევრობის შეწყვეტამდე უნდა შეესრულებინათ ასოციაციის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებები. მოპასუხის განმარტებით, დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში, 2026 წლის 31 იანვრამდე, ასოციაციის წევრობა შეწყდებოდა.

3. მომჩივნის პოზიცია მოპასუხის არგუმენტებთან დაკავშირებით

მოპასუხის წერილობითი პოზიცია სააგენტოს მიერ გაეგზავნა[7] მომჩივან მხარეს, რომელმაც აღნიშნულთან დაკავშირებით საპასუხო პოზიცია წარმოადგინა.[8] თუმცა, წარმოდგენილი განმარტებები არ შეიცავს ახალ ფაქტობრივ გარემოებებს/მტკიცებულებებს და ძირითადად იმეორებს საჩივარში დაფიქსირებულ პოზიციას, დამატებითი საპირწონე არგუმენტების წარმოდგენის გარეშე.

მომჩივნის განმარტებით, იგი ეყრდნობა წესდების იმ რედაქციას, რომელიც მოქმედებდა ხელშეკრულების დადების პერიოდში, ხოლო შემდგომში განხორციელებული ცვლილებების შესახებ მისთვის უცნობია. დამატებით, მომჩივნის მითითებით, წესდების თავდაპირველ რედაქციაში წევრობიდან გასვლის პროცედურა განსხვავებულად იყო განსაზღვრული და მასში საანგარიშო პერიოდის ცნება მკაფიოდ გაწერილი არ იყო.

[7] რეგ. N02/2360, თარიღი: 08/04/2026

[8] სააგენტოში შემოსული წერილი (რეგ. N01/3905; 04.05.2026)

4. ა(ა)იპ „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციიდან“ გასვლის მსურველი კომპანიების პოზიცია

როგორც ზემოთ აღინიშნა, მომჩივნის მითითებით, შპს „კორეან ელექტრონიქსმა“, შპს „ფრანკომ“, შპს „სინათლემ“, შპს „ტექნოჰაუსმა“ და შპს „გლობალ დისტრიბუშენმა“ გამოთქვეს „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ წევრობიდან გასვლისა და „მგვ საქართველოში“ გაწევრიანების სურვილი, თუმცა, აღნიშნულ კომპანიებს ასოციაციიდან გასვლის შესაძლებლობა არ მიეცათ.

სააგენტომ, საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლისა და გამოკვლევის მიზნით, საჩივარში მითითებული კომპანიებისგან გამოითხოვა ინფორმაცია მათი „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციაციაში“ გაწევრიანების, წევრობის შეწყვეტის გადაწყვეტილებისა და აღნიშნულ მოთხოვნაზე მოპასუხის მხრიდან უარის თქმის შესახებ. ასევე, სააგენტომ მოითხოვა ინფორმაცია თუ რამდენად იყვნენ კომპანიები ინფორმირებული წესდების ახალი რედაქციისა და წევრობის შეწყვეტისთვის წესდებით დადგენილი წინაპირობების შესახებ.

შპს „კორეან ელექტრონიქსმა“, შპს „ფრანკომ“, შპს „სინათლემ“, შპს „ტექნოჰაუსმა“ და შპს „გლობალ დისტრიბუშენმა“ სააგენტოში წარმოადგინეს თითქმის იდენტური პოზიციები.[9] მათი განმარტებით, კომპანიების „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციაციაში“ გაწევრიანება საქართველოს კანონმდებლობით განხორციელებულმა ცვლილებამ განაპირობა, რომლის მიხედვითაც ყველა ელექტრო მოწყობილობის მწარმოებელ/დისტრიბუტორ კომპანიას თავიანთი პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის დასრულების შემდეგ წარმოქმნილი ნარჩენების მართვაზე ზრუნვა დაევალა. იმის გათვალისწინებით, რომ იმ პერიოდისთვის საქართველოში არ არსებობდა სხვა ავტორიზებული მგვ გარდა მოპასუხის ასოციაციისა, კომპანიები ბაზარზე ოპერირების გასაგრძელებლად გაწევრიანდენ ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციაციაში“. მათი განმარტებით, მოპასუხის მგვ ორგანიზაციის დატოვების სურვილი „მგვ საქართველოს“ გამოჩენამ განაპირობა, რომელმაც კომპანიებს უფრო მეტად მისაღები ტარიფები შესთავაზა.

კომპანიები წარმოდგენილ წერილში აღნიშნავენ, რომ წევრობის შეწყვეტისთვის წესდებით დადგენილი წინაპირობები მათთვის ცნობილი იყო, თუმცა 2025 წელს მიღებული განახლებული წესდების თაობაზე ინფორმაცია არ ჰქონიათ და ხელმძღვანელობდნენ ძველი წესდებით. დამატებით, შპს „კორეან ელექტრონიქსმა“ აღნიშნა, რომ 2025 წელს წესდებაში განხორციელებული ცვლილებები ბადებს ეჭვს კომპანიების ასოციაციაში დატოვების იძულებასთან დაკავშირებით.

შპს „ფრანკომ“ და შპს „გლობალ დისტრიბუშენმა“ წარმოდგენილ წერილში აღნიშნეს, რომ 2025 წლის ბოლოს, საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე, მიმართეს მოპასუხეს წევრობის

[9] სააგენტოში შემოსული N01/5714 (22.06.2026); N01/5433 (15.06.2026); N01/5432 (15.06.2026); N01/5410 (15.06.2026); N01/5313 (11.06.2026) წერილები.

შეწყვეტის მოთხოვნით. მათი განმარტებით, ფინანსური ურთიერთანგარიშსწორებისას გამოვლინდა დავალიანება, თუმცა შესაბამისი ფინანსური ვალდებულებების შეჯერება 2025 წლის ბოლომდე არ დასრულებულა. კომპანიების მითითებით, აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა მათი წევრობის გაგრძელება ახალ საანგარიშო წელს და ხელი შეუშალა სხვა მგვ ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შპს „სინათლე“ წარმოდგენილ წერილში აღნიშნავს, რომ იანვრის თვის რეციკლირების გადასახადის გადახდა, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, ავტომატურად ადასტურებს მოპასუხესთან ხელშეკრულების კიდევ ერთი საანგარიშო წლით გაგრძელებას. თუმცა, კომპანიას თავდაპირველ წერილში არ მიუთითებია შესაბამისი სამართლებრივი აქტი ან/და მისი კონკრეტული დებულება, რომელიც აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს.

აღნიშნული გარემოების დასაზუსტებლად, დამატებით, სააგენტოს მხრიდან კომპანიას ეთხოვა მიეთითებინა კონკრეტული სამართლებრივი აქტი და შესაბამისი მუხლი/პუნქტი, საიდანაც გამომდინარეობდა ყოველივე ზემოთქმული.[10] აღნიშნული წერილის პასუხად, შპს „სინათლემ“ წერილობით განმარტა, რომ მათი დასკვნა წევრობის ავტომატურად გაგრძელების თაობაზე გამომდინარეობს როგორც წევრობის შესახებ ხელშეკრულებების დებულებებიდან, ისე „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის ანალიზით, რომლის მიხედვითაც, მგვ-ის ორგანიზაციის წევრი ვალდებულია ორგანიზაციაში გადაიხადოს რეციკლირების წინასწარი შენატანი მის მიერ ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების წილის შესაბამისად. კომპანიის განმარტებით, თუ არ არსებობს გადაწყვეტილება წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებით და ის იხდის რეციკლირების გადასახადს ახალ საანგარიშო წელს, ნიშნავს იმას, რომ ეს ორგანიზაცია აგრძელებს მგვ-ს წევრობას ახალი საანგარიშო წლის ბოლომდე, სანამ ახალი გადაწყვეტილება არ მიიღება.[11]

რაც შეეხება შპს „კორეან ელექტრონიქსის“ პოზიციას, კომპანიის განცხადებით, მას შემდეგ რაც მათ გადაიხადეს საბუღალტრო შედარებების საფუძველზე დაზუსტებული გადასახადი (როგორც დეკემბრის თვის, ისე გადაუხდელი თანხა) მგვ ორგანიზაცია მათგან მოითხოვდა 2026 წლის იანვრის თვის რეციკლირების გადასახადსაც, რაც კომპანიის პოზიციით, ეწინააღმდეგება მათ წესდებას და ტექნიკურ რეგლამენტს.

შპს „კორეან ელექტრონიქსის“ მიერ მიღებული ინფორმაციით, მათ მიერ იმპორტირებული ან/და ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ ინფორმაცია, ყოველი თვის 14 რიცხვამდე, ელექტრონულ პორტალზე წარედგინება მგვ ასოციაციას (https://wasteless.ge) და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (https://waste.mepa.gov.ge). კომპანიის განმარტებით, ორივე პორტალზე

[10] სააგენტოს 2026 წლის 16 ივნისის N02/3953 წერილი
[11] სააგენტოში შემოსული წერილი (რეგ. N01/5718; 22.06.2026)

ატვირთული ინფორმაცია იდენტურია და ეფუძნება ერთსა და იმავე შინაარსისა და მოცულობის ინფორმაციას.[12]

შპს „ტექნოჰაუსის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ირკვევა, რომ კომპანიას არ შეუწყდა ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციაციის“ წევრობა, ვინაიდან მას მოპასუხის მიმართ გააჩნდა და დღესაც გააჩნია ფინანსური ვალდებულება, რომლის შესრულება ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე ვერ შეძლეს.

5. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრები

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სააგენტოს მიერ ჩაინიშნა ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრები, რომლებზეც მოწვეულ იქნენ მხარეები.

5.1. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მოპასუხესთან

სააგენტოში მოპასუხის წარმომადგენლებთან ჩანიშნული ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა გაიმართა 2026 წლის 06 ივლისს.[13]

შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ასოციაციის წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებული წესები და პრაქტიკა, მათ შორის, წევრობიდან გასვლის ვადები, წევრის ფინანსური ვალდებულებების განსაზღვრისა და გადამოწმების საკითხები, ასევე შესაბამისი განაცხადების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა.

5.2. ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრა მომჩივანთან

სააგენტოში მომჩივნის წარმომადგენლებთან ჩანიშნული ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრა გაიმართა 2026 წლის 13 ივლისს.[14]

შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა საჩივარში მითითებული პრობლემური საკითხები და მათთან დაკავშირებით მომჩივნის პოზიცია.

[12] სააგენტოში შემოსული წერილი (რეგ. N01/7876; 27.08.2026)
[13] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1
[14] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N2

6. ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, სააგენტოს მიერ ჩაინიშნა ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებზეც მოწვეულ იქნენ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო და სსიპ შემოსავლების სამსახური.

6.1. ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან

სააგენტოში დაინტერესებულ მხარეებთან ჩანიშნული საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა 2026 წლის 24 აგვისტოს.[15]

შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნა ის რეკომენდაციები, რომელიც სააგენტომ შეიმუშავა მიმდინარე მოკვლევის ფარგლებში. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა გაიზიარეს წარდგენილი რეკომენდაციები და მხარი დაუჭირეს სააგენტოს პოზიციას.

ამასთან, სააგენტომ, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსგან გამოითხოვა დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მწარმოებლის მიერ იმპორტის შესახებ მონაცემების წარდგენის ვალდებულებას უკავშირდება.[16]

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ წარმოდგენილ წერილში[17] აღნიშნულია, რომ ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტითა და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №2-774 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ელექტრონული რეესტრის წარმოების წესით“.

რეგლამენტის შესაბამისად, მომდევნო თვის 15 რიცხვამდე მგვ რეესტრში ყოველთვიურად უნდა აისახოს წინა თვის განმავლობაში ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ ინფორმაცია, მათი წონისა და სახეობების მიხედვით. ხოლო ყოველწლიურად, 15 ნოემბრამდე, უნდა აისახოს ინფორმაცია მომავალი

[15] ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N1
[16] სააგენტოს 2026 წლის 13 აგვისტოს N02/5487 წერილი
[17] სააგენტოში შემოსული წერილი (რეგ. N01/7846; 27.08.2026)

წლის განმავლობაში ბაზარზე განსათავსებლად გათვალისწინებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ.

მგვ ორგანიზაციის წევრი ვალდებულია, ექვს თვეში ერთხელ, 1-ელ აგვისტომდე და 1-ელ თებერვლამდე, მგვ რეესტრის მეშვეობით სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ელექტრონულად წარუდგინოს სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მიერ დადასტურებული ინფორმაცია იმპორტის რაოდენობისა და სახეობების შესახებ. მგვ ორგანიზაციის წევრის თანხმობის შემთხვევაში კი საბაჟო დეპარტამენტი სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს ექვს თვეში ერთხელ, იგივე პერიოდულობით, პირდაპირ აწვდის აღნიშნულ ინფორმაციას. სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უფლება აქვს შეამოწმოს მგვ ორგანიზაციის წევრის მიერ წარდგენილი მონაცემების სისწორე და საჭიროების შემთხვევაში, მოიპოვოს და დაამუშაოს დამატებითი ინფორმაცია.

წარმოდგენილი წერილის თანახმად, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით გათვალისწინებულია 2000 ლარი ჯარიმა მწარმოებლის მიერ მის ვალდებულებას დაქვემდებარებული პროდუქტის შესახებ ანგარიშგებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის. ამასთან, აღნიშნული კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის სხვა ზომებსაც კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევისთვის, მათ შორის, მგვ ორგანიზაციის მიერ ინფორმაციის აღრიცხვისა და ანგარიშგების მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის.

6.2. ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრა სსიპ შემოსავლების სამსახურთან

სააგენტოში სსიპ შემოსავლების სამსახურთან ჩანიშნული საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა 2026 წლის 24 აგვისტოს.[18]

შეხვედრაზე განხილულ იქნა საჩივარში აღნიშნული პრობლემატური საკითხები და ასევე სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები. სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები ნაწილობრივ დაეთანხმნენ სააგენტოს მხრიდან წარდგენილ რეკომენდაციებს.

მათი მითითებით, მოპასუხე მგვ ორგანიზაციის მხრიდან წევრი მწარმოებლების მიერ დეკლარირებული მონაცემების სიზუსტის გადამოწმების შეუძლებლობა დაკავშირებულია კანონმდებლობით გათვალისწინებულ აკრძალვასთან, რომლის მიხედვითაც გადასახადის გადამხდელის ინფორმაცია არ შეიძლება მიეწოდოს სხვა გადასახადის გადამხდელს, ვინაიდან გადასახადის გადამხდელის შესახებ მიღებული ინფორმაცია საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება. გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია კი შეიძლება გადაეცეს სხვა პირს მხოლოდ წერილობითი/ელექტრონული ნებართვის შემთხვევაში.[19]

[18] ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N2

[19] ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N2, 36:27-39:33 წთ

ამასთან, დამატებით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სხვა მგვ ორგანიზაციებს გააჩნიათ წევრი მწარმოებლების მიერ გაცემული წინასწარი თანხმობა მათ შესახებ შემოსავლების სამსახურიდან ინფორმაციის გაცემის თაობაზე. შესაბამისად, თანხმობის არსებობის შემთხვევაში მგვ ორგანიზაცია თავისუფლად იღებს ინფორმაციას მისი წევრების იმპორტის მოცულობის შესახებ.[20]

7. გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით მხარეების პოზიცია

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის მოკვლევის წესისა და პროცედურის“ 27-ე მუხლის 1-ლი და მეორე პუნქტების შესაბამისად, მოკვლევის ჯგუფის მიერ გადაწყვეტილების პროექტის მომზადების შემდგომ, მხარეებს შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტი და საქმის მასალები (კონფიდენციალურობის დაცვით) გადაეგზავნათ კანონით დადგენილ ვადაში და ეთხოვათ საკუთარი პოზიციისა და მოსაზრებების წარმოდგენა არაუგვიანეს 2026 წლის 16 ოქტომბრისა.[21]

გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით მომჩივანმა წარმოადგინა საკუთარი პოზიცია, რომლის თანახმადაც, მხარე დაეთანხმა სააგენტოს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს და გაიზიარა ისინი. ამასთან, დამატებით, მომჩივანმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლს უნდა დაემატოს ისეთი შინაარსის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, წევრი მწარმოებლის მიერ მგვ ორგანიზაციისთვის ასოციაციის დატოვების შესახებ განაცხადის წარდგენის თარიღი, ავტომატურად უნდა ჩაითვალოს მგვ-ს დატოვების თარიღად, მიუხედავად საბოლოო გადაწყვეტილების მიღების თარიღისა.[22]

სააგენტო მიუთითებს, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მწარმოებელს შეუძლია დატოვოს მგვ-ის ორგანიზაცია მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ და შესაბამისი ფინანსური ურთიერთანგარიშსწორების განხორციელების შედეგად. აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს მგვ-ის სისტემის ფინანსური და ინსტიტუციური სტაბილურობის დაცვის სამართლებრივ მექანიზმს, რადგან იგი გამორიცხავს იმ რისკებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მწარმოებლის მიერ სისტემიდან და მგვ-დან ვალდებულებების შესრულების გარეშე გასვლის შემთხვევაში. მგვ-ის ორგანიზაცია წევრი მწარმოებლების რესურსებითა და რეციკლირების წინასწარი შენატანებით უზრუნველყოფს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობას. შესაბამისად, წევრი მწარმოებლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ავტომატურად გასვლამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მგვ-ის ორგანიზაციის მიერ შესაბამისი პერიოდისთვის უკვე დაგეგმილ და აღებულ ვალდებულებებზე, მათ შორის, საქმიანობის დაგეგმვასა და ანგარიშგებაზე, ვინაიდან მგვ ორგანიზაცია ყოველწლიურად, 15

[20] ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრის ოქმი N2, 42:43-43:22 წთ
[21] სააგენტოს 2026 წლის 7 სექტემბრის N 02/6088 და N 02/6087 წერილები
[22] „ა(ა)იპ „მგვ საქართველოს“ 2026 წლის 28 თებერვლის N 01/8689 წერილი

ნოემბრამდე ასახავს ინფორმაციას მომავალი წლის განმავლობაში ბაზარზე განსათავსებლად გათვალისწინებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ. ამდენად, წევრობის შეწყვეტის თარიღის განაცხადის წარდგენის თარიღთან ავტომატურად გათანაბრება ვერ უზრუნველყოფს მგვ-ის ორგანიზაციის მიერ კონკრეტული საანგარიშო პერიოდისთვის ნაკისრი ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას და შესაბამისი ფინანსური და ადმინისტრაციული ურთიერთანგარიშსწორების განხორციელებას.

ამასთან, სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები[23] მიმართულია მგვ-ის ორგანიზაციიდან გასვლის პროცესის ოპერატიულად წარმართვის ხელშეწყობისკენ. კერძოდ, რეკომენდაციები ითვალისწინებს ისეთი მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც უზრუნველყოფს წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებული ინფორმაციის დროულად მიღებასა და შესაბამისი პროცედურების შეუფერხებლად განხორციელებას. აღნიშნული მიდგომა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მგვ-ის ორგანიზაციის მიერ წევრობის პერიოდში წარმოშობილი ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს წევრი მწარმოებლის მიერ მგვ-ის ორგანიზაციიდან გასვლის პროცესის შეფერხებისა და გაჭიანურების თავიდან აცილებას. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტო ვერ გაიზიარებს მომჩივნის პოზიციას წევრობის შეწყვეტის თარიღად განაცხადის წარდგენის თარიღის ავტომატურად მიჩნევასთან დაკავშირებით.

რაც შეეხება მოპასუხის პოზიციას, სააგენტოში წარმოდგენილ წერილში[24] მოპასუხე მხარე უთითებს, რომ წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

8. შემაჯამებელი სხდომა

„საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის N40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის 28-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს 2026 წლის 22 მაისის N04/803 ბრძანების შესაბამისად განხორციელებული საქმის მოკვლევის ფარგლებში, 2026 წლის 21 ოქტომბერს სააგენტოში გაიმართა შემაჯამებელი სხდომა მომჩივან და მოპასუხე მხარეებთან.

სხდომაზე მოკვლევის ჯგუფის ხელმძღვანელმა კიდევ ერთხელ გააცნო მხარეებს გადაწყვეტილების პროექტის ძირითადი ასპექტები და შეაფასა არსებული მტკიცებულებებით შექმნილი სამართლებრივი მდგომარეობა. გარკვეულ საკითხებთან მიმართებით გაიმართა დისკუსია.

შემაჯამებელი სხდომის ფარგლებში, მომჩივანს დამატებით განემარტა, თუ რატომ ვერ იქნებოდა გაზიარებული გადაწყვეტილების პროექტთან დაკავშირებით მის მიერ

[23] იხ. რეკომენდაციების ნაწილი
[24] რეგ. N01/8967 (06.10.2026)

წარმოდგენილი წინადადება. თავის მხრივ, მოპასუხემ სრულად გაიზიარა და მოიწონა სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და გადაწყვეტილების პროექტში განვითარებული მსჯელობა. ამასთან, სასაქონლო კოდების განსაზღვრასთან დაკავშირებული რეკომენდაციის ნაწილში, მოპასუხემ მიუთითა საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის N326 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული გამონაკლისების ასახვის საჭიროებაზე, რაც აისახა რეკომენდაციაში.[25] რაც შეეხება წესდების ბუნდოვან ჩანაწერებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას, მომჩივანმა მოითხოვა მისი დაზუსტება იანვრის თვეში უქმე დღეების გამოცხადების შემთხვევაში შესაბამისი ვადების განსაზღვრის ნაწილში, რასაც მოპასუხე დაეთანხმა.[26]

შემაჯამებელი სხდომის ოქმი შესაბამის აუდიო ჩანაწერთან ერთად გაგზავნილ იქნა მომჩივან და მოპასუხე მხარეებთან.[27]

თავი II . ნორმატიული რეგულირება

1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

კანონის პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს „დომინანტურ მდგომარეობას“. დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიმწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ

[25] შემაჯამებელი სხდომის ოქმი, 45:20-47:30 წთ
[26] იქვე, 1:12:25-1:14:05 წთ
[27] სააგენტოს წერილები: რეგ. N 02/7354, 21.10.2026; რეგ. N 02/7355, 21.10.2026

არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ი.ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ი.ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, კი, აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხოლო ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლების ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციაზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

2.პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

„საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის

2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს აღნიშნულ ვადაში გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ მატერიალური დასაშვებობის შემოწმებისათვის განსაზღვრულ ვადაში სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯერებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. ამდენად, საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია სააგენტოს გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ. რაც შეეხება საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლებს, ისინი გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33[2] მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

3. ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის მარეგულირებელი კანონმდებლობა

ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედი სამართლებრივი რეგულირება ეფუძნება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპს (Extended Producer Responsibility – EPR), რომლის მიზანია მწარმოებლის პასუხისმგებლობის გავრცელება პროდუქტის მთელი სიცოცხლის ციკლზე, მათ შორის პროდუქტის ნარჩენად ქცევის შემდგომ ეტაპზეც.

მგვ-ის ორგანიზაციებსა და მწარმოებლებს შორის ურთიერთობების სამართლებრივი საფუძველი დადგენილია საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით, რომელიც ადგენს ნარჩენების მართვის სფეროში მოქმედ ძირითად პრინციპებს და განსაზღვრავს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ინსტიტუტს. აღნიშნული კოდექსის შესაბამისად, მწარმოებელი პასუხისმგებელია ბაზარზე განთავსებული პროდუქციის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენების მართვის უზრუნველყოფაზე, რაც მოიცავს როგორც ორგანიზაციულ, ისე ფინანსურ ვალდებულებებს. კოდექსით დადგენილი ზოგადი სამართლებრივი ჩარჩოს საფუძველზე მიღებულია სპეციალური კანონქვემდებარე

ნორმატიული აქტი – „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც დეტალურად არეგულირებს ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მწარმოებლებსა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციებს შორის ურთიერთობებს.

აღნიშნული რეგლამენტი განსაზღვრავს: მგვ-ის ორგანიზაციის შექმნისა და საქმიანობის წესს; მწარმოებლის მიერ მგვ-ის ორგანიზაციაში გაწევრიანების პირობებს; მგვ-ის ორგანიზაციის წევრთა ფინანსურ და ადმინისტრაციულ ვალდებულებებს; ანგარიშგებისა და სახელმწიფო ზედამხედველობის მექანიზმებს. ამავე რეგლამენტის მე-8 მუხლის შესაბამისად, მგვ-ის ორგანიზაციის წევრს ეკისრება რიგი ვალდებულებები, მათ შორის: რეციკლირების წინასწარი შენატანის გადახდა მის მიერ ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების რაოდენობის შესაბამისად; ახალი მგვ-ის ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში წინა მგვ-ის ორგანიზაციასთან ხელშეკრულების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა; მგვ-ის რეესტრში მონაცემების განახლება წევრობის შეწყვეტიდან კანონმდებლობით დადგენილ ვადაში; სააგენტოსთვის პერიოდული ანგარიშგების წარდგენა იმპორტირებული ან ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ.

ამასთანავე, ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ შეზღუდვას, რომლის მიხედვითაც მწარმოებელი უფლებამოსილია იყოს მხოლოდ ერთი მგვ-ის ორგანიზაციის წევრი. აღნიშნული რეგულირების მიზანია პასუხისმგებლობის დუბლირების თავიდან აცილება და ნარჩენების მართვის სისტემაში ფინანსური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილების უზრუნველყოფა.

4. მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება ევროკავშირის სამართალში

ევროკავშირში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პრინციპის (EPR) ზოგად სამართლებრივ საფუძვლებს 2008/98/EC ნარჩენების ჩარჩო დირექტივა[28] განსაზღვრავს, რომელიც მწარმოებლს პროდუქტზე პასუხისმგებლობას მის მთლიან სასიცოცხლო ციკლზე ანუ სამომხმარებლო ეტაპის შემდგომ პერიოდზეც აკისრებს. კერძოდ, ნარჩენების შეგროვებაზე, დახარისხებაზე, გადამუშავებასა და განთავსებაზე. აღნიშნული დირექტივის მიზანია გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, ასევე რესურსების ეფექტური გამოყენების ხელშეწყობა ნარჩენების შემცირებისა და მათი მართვის გზით.

[28] Directive 2008/98/EC of the European Parliament and of the Council on waste and repealing certain Directives (იხ. EUR-Lex - 02008L0098-20251016 - EN - EUR-Lex) [12.08.2026]

2008/98/EC ნარჩენების ჩარჩო დირექტივის მე-8 მუხლი პასუხისმგებლობის ნაწილს განსაზღვრავს, ხოლო მე-8a მუხლი, რომელიც 2018 წელს დაემატა, ადგენს ზოგად მინიმალურ სტანდარტებსა და მოთხოვნებს, რომელსაც ევროკავშირში ყველა მგვ ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს - მათ შორის მწარმოებელთა რეგისტრაციის, ანგარიშგებისა და ფინანსური შენატანების ნაწილს. აღსანიშნავია, რომ 8a მუხლის შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ შესაბამისი მონიტორინგისა და აღსრულების მექანიზმები, რათა უზრუნველყონ ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება, ფინანსური სახსრების მიზნობრივი გამოყენება და შესაბამისი ანგარიშგება.

მწარმოებლები აღნიშნულ ვალდებულებებს მწარმოებლის პასუხისმგებლობის ორგანიზაციების (Producer Responsibility Organisation - PRO) მეშვეობით, ახორციელებენ, რომლებიც მწარმოებელთა სახელით კოორდინაციას უწევენ ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და მართვის პროცესს. ისინი ვალდებულნი არიან უზრუნველყონ სრული გამჭვირვალობა, კერძოდ, გაამჟღავნონ ინფორმაცია შეგროვებული ფინანსური სახსრების მოცულობის, მათი განაწილებისა და ნარჩენების მართვაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ევროკავშირში EPR-ს მხოლოდ ზემოხსენებული სამართლებრივი აქტი არ აწესრიგებს. ის მხოლოდ ზოგად სამართლებრივ საფუძვლებს განსაზღვრავს, ხოლო მისი აღსრულება პრაქტიკაში სპეციალური რეგულაციების მეშვეობით ხორციელდება. ევროკავშირში დღეისათვის მოქმედი რეგულაციებია: შესაფუთი მასალისა და შესაფუთი ნარჩენების შესახებ (EU) 2025/40 (PPWR) რეგულაცია[29]; ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების შესახებ 2012/19/EU დირექტივა[30]; ბატარეების შესახებ (EU) 2023/1542 რეგულაცია[31]; ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ 2000/53/EC დირექტივა[32] და ერთჯერადი პლასტმასის ნაწარმის შესახებ (EU) 2019/904 დირექტივა[33].

აღნიშნული მექანიზმი არსებითად განაპირობებს „დამაბინძურებელი იხდის" პრინციპის (polluter pays principle) პრაქტიკულ რეალიზაციას, რომელიც ევროკავშირის გარემოსდაცვითი პოლიტიკის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს.

[29] Regulation (EU) 2025/40 (the Packaging and Packaging Waste Regulation) (იხ. https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2025/40/oj/eng) [12.08.2026]

[30] Directive 2012/19/EU on Waste Electrical and Electronic Equipment (WEEE) (იხ. https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2012/19/oj/eng) [12.08.2026]

[31] Regulation (EU) 2023/1542 on batteries and waste batteries (იხ. https://eur-lex.europa.eu/eli/reg/2023/1542/oj/eng)

[32] Directive 2000/53/EC of the European Parliament and of the Council on end-of life vehicles (იხ. https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2000/53/oj/eng) [12.08.2026]

[33] DIRECTIVE (EU) 2019/904 OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL on the reduction of the impact of certain plastic products on the environment (იხ. https://eur-lex.europa.eu/eli/dir/2019/904/oj/eng) [12.08.2026]

თავი III. შესაბამისი ბაზარი

1. ზოგადი მიმოხილვა

კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენცია არის შესაბამის ბაზარზე მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის მეტოქეობა ამ ბაზარზე უპირატესობის მოსაპოვებლად.

შესაბამისი ბაზარი არის საქონლის, ურთიერთჩანაცვლებადი საქონლის ან მომსახურების მიმოქცევის სფერო გარკვეულ ტერიტორიაზე, რომლის საზღვრებიც დგინდება საქონლის/მომსახურების შეძენის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და მიზანშეწონილობის გათვალისწინებით და შეიძლება მოიცავდეს საქართველოს მთელ ტერიტორიას, საქართველოს ტერიტორიის ნაწილს ან საქართველოს მთელ ტერიტორიას ან მის ნაწილს სხვა ქვეყნის ტერიტორიასთან ან მის ნაწილთან ერთად. კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების (შემდგომში - ,,ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი პარამეტრების გამოყენებით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

სააგენტო ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებებიდან და სავარაუდო დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე განსაზღვრავს შესაბამის ბაზარს, აგრეთვე მხედველობაში იღებს იმ სექტორის სპეციფიკას, რომელშიც კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევაა განხორციელებული. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სააგენტო იკვლევს კონკრეტული ეკონომიკური აგენტ(ებ)ის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების სავარაუდო შემთხვევას და, შესაბამისად, მოკვლევა მიმდინარეობს კანონის მე-6 მუხლის ჭრილში, სააგენტო, ბუნებრივია, ვერ შეაფასებს ეკონომიკური აგენტების ქმედებას დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასთან მიმართებით, თუ, პირველ რიგში, არ განისაზღვრა შესაბამისი ბაზარი, რომლის ანალიზიდან გამომდინარეც შეფასდება კონკრეტული ეკონომიკური აგენტის ძალაუფლების ხარისხი - არის თუ არა ის დომინანტი სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ შესაბამის ბაზარზე/ბაზრებზე.

შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირებისას სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მომჩივნის მიერ საჩივარში მითითებულ იმ გარემოებებზე, რომლებიც, მისი პოზიციით, კონკურენტულ გარემოზე შესაძლოა უარყოფითად აისახებოდეს. კერძოდ, მომჩივანი აპელირებს მოპასუხე მგვ ორგანიზაციის მიერ ისეთი პირობებისა და პრაქტიკის გამოყენებაზე, რომლებმაც

შესაძლოა შეზღუდოს წევრი მწარმოებლების მიერ ასოციაციის დატოვებისა და სხვა მგვ ორგანიზაციაში გადასვლის შესაძლებლობა. აღნიშნული სავარაუდო ქმედება, საბაზრო ძალაუფლების ბოროტად გამოყენების კონტექსტში, შესაძლოა მიმართული იყოს პოტენციურ კონკურენტ მგვ ორგანიზაციებში წევრი მწარმოებლების გადინების შეზღუდვისკენ.

2. შესაბამისი ბაზრის საზღვრები

2.1. შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.

შესაბამისი ბაზრის პროდუქციული საზღვრების იდენტიფიცირებისათვის სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მომჩივნის მიერ საჩივარში მითითებულ გარემოებებზე. კერძოდ, მოპასუხე ოგანიზაციასა და მის წევრ კომპანიებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციაში“ გაწევრიანებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „მწარმოებლის“ განცხადების საფუძველზე „ასოციაციის წევრად“ მიღება და ურთიერთთანამშრომლობა, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (შემდგომში - „მგვ“) შესაბამის კოლექტიურ სქემაში ჩართვით მგვ-ს ავტორიზაციის ფარგლებში ნარჩენის ელექტრო და ელექტრონულ მიმართულებაზე. თავის მხრივ, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის კოლექტიური სქემა მოიაზრებს ღონისძიებების სისტემას, როცა ერთზე მეტი მწარმოებელი ქმნის მგვ-ის ორგანიზაციას, რომელიც მისი წევრი მწარმოებლების რესურსებით, წილობრივი შენატანებით (რეციკლირების წინასწარი შენატანი) უზრუნველყოფს მწარმოებლების მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტებისგან წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას და ტრანსპორტირებას შესაბამის ავტორიზებულ ობიექტზე აღდგენის (მათ შორის რეციკლირების) მიზნით.

აღნიშნული ურთიერთობის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის N326 დადგენილება. ხსენებული რეგლამენტის მიზანია, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებებისა და აღნიშნული ნარჩენების მართვის წესების განსაზღვრა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აღნიშნული ურთიერთობის ფარგლებში მგვ ორგანიზაცია უზრუნველყოფს წევრი მწარმოებლის შესაბამის კოლექტიურ სქემაში მონაწილეობას და მის მიერ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი ვალდებულებების განხორციელებას, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მიმართულებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოს მიერ, საჩივარში დასმული პრობლემატიკისა და მგვ ორგანიზაციის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით ქმედების შეფასებისას, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრად შესაძლოა განვიხილოთ ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების შესრულების მომსახურება.

2.2. შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები

ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა შესაძლებლობები შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება.[34]

განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებები ვრცელდება იმ მწარმოებლებზე, რომლებიც ახორციელებენ მათ განთავსებას საქართველოს ბაზარზე. ამასთან, ტექნიკური რეგლამენტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბაზარზე განთავსება გულისხმობს ქვეყნის ტერიტორიაზე მომხმარებლისთვის პროდუქტის მიწოდებას ან მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას (უსასყიდლოდ ან საფასურის სანაცვლოდ), რაც ასევე მოიცავს პროდუქტის იმპორტს ქვეყნის ტერიტორიაზე.

ამდენად, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება უკავშირდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე პროდუქციის ბაზარზე განთავსებას და არ შემოიფარგლება კონკრეტული რეგიონით ან ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულით.

შესაბამისად, სააგენტო ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად მიიჩნევს ეროვნულ დონეს - მთელი ქვეყნის ტერიტორიას.

2.3. შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო

შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში.[35]

[34] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 8.1.
[35] ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებები, მუხლი 13

იმის გათვალისწინებით, რომ ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები არ ხასიათდება რაიმე ტიპის სეზონურობით და არ არის დამოკიდებული კონკრეტულ პერიოდზე, დროით ჩარჩოსთან მიმართებაში სააგენტო განმარტავს, რომ შესაბამისი ბაზარი ფუნქციონირებს უწყვეტად, წელიწადის ნებისმიერ დროს, მოთხოვნის შესაბამისად, ამიტომ ბაზარს სპეციფიური დროითი ჩარჩო არ გააჩნია.

თავი IV. სააგენტოს შეფასება

1. ასოციაცია, როგორც „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის სუბიექტი

პირველ რიგში, სააგენტო ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ საკითხზე - წარმოადგენს თუ არა „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“ ეკონომიკურ აგენტს და შესაბამისად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის ფარგლებში შეფასებას დაქვემდებარებულ სუბიექტს.

მოპასუხის წესდების მიხედვით, „ასოციაცია“ არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად, ასოციაცია უფლებამოსილია, გაწევრიანდეს სხვადასხვა საერთაშორისო/ადგილობრივ გაერთიანებებში ან მიიღოს მონაწილეობა ასეთი გაერთიანებების შექმნაში. ფლობდეს სხვადასხვა იურიდიული პირების წილებს/აქციებს, თუ ამ წილებიდან/აქციებიდან ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსავლები მოხმარდება მისსავე მიზნებს.[36]

წესდების შესაბამისად, ასევე, დგინდება, რომ ასოციაციას უფლება აქვს განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რომელიც შეიძლება ატარებდეს მხოლოდ დამხმარე ხასიათს და ემსახურებოდეს მისი წესდებით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.[37] ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ასოციაციის თითოეული წევრი ვალდებულია დადგენილი წესით დაფაროს წინასწარი საწევრო შენატანი (რეციკლირების გადასახადი), რაც ასოციაციის შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს.[38] გარდა ამისა, წესდება განსაზღვრავს წევრთა ვალდებულებას, დადგენილი წესით მონაწილეობა მიიღონ ასოციაციის სარეზერვო ფონდის შევსებაშიც.[39]

სააგენტო ყურადღებას შეაჩერებს ეკონომიკური აგენტის ცნებაზე. კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად ეკონომიკური აგენტი არის ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, სხვა გაერთიანება ან ასოციაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, განურჩევლად რეზიდენტობისა, იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმისა. უფრო ზუსტად,

[36] „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ წესდება, 2025 წ., 2.1, 2.4 მუხლები
[37] იქვე 4.2. მუხლი
[38] იქვე 5.5. მუხლი
[39] იქვე 5.6. მუხლი

ეკონომიკური აგენტი (Undertaking) არის ნებისმიერი პირი, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას - ე.ი. მოცემულ ბაზარზე საქონლის ან მომსახურების მიწოდებას - ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის, რეზიდენტობისა და დაფინანსების წყაროს მიუხედავად. ეკონომიკურ აგენტად ჩაითვლება ისეთი საწარმოც, რომელზეც პირდაპირ ან ირიბ კონტროლს ახორციელებენ საჯარო უწყებები, მფლობელობის, ფინანსური მონაწილეობის ან მმართველობის წესის გამო.[40]

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ ნებისმიერი სუბიექტი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, მისი სამართლებრივი ფორმისა და დაფინანსების გზის მიუხედავად, მიჩნეული უნდა იქნას ეკონომიკურ აგენტად.[41] აქვე გასათვალისწინებელია, რომ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოიცავს საქონლის ან მომსახურების შეთავაზებას კონკრეტულ ბაზარზე, წარმოადგენს ეკონომიკურ საქმიანობას.[42]

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ასოციაციის წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებების, საქმიანობის დაფინანსების წყაროებისა და წევრებთან არსებული სამართლებრივი ურთიერთობების გათვალისწინებით, სააგენტო უდავო ფაქტობრივ გარემოებად მიიჩნევს, რომ ასოციაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც, მიუხედავად მისი დამხმარე ხასიათისა, დაკავშირებულია წევრი მწარმოებლებისთვის შესაბამისობის კოლექტიური სქემის მომსახურების უზრუნველყოფასთან და აღნიშნული საქმიანობის სანაცვლოდ რეციკლირების შენატანებისა და წესდებით გათვალისწინებული სხვა ფინანსური შენატანების მიღებასთან.

2. „კონკურენციის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტი

განსახილველი საჩივარი ეხება კანონის მე-6 მუხლით გათვალისწინებულ დარღვევას, რაც მომჩივნის განმარტებით გამოიხატება მოპასუხე მხარის მიერ ბაზრის შეზღუდვაში. კერძოდ, „მგვ საქართველოს“ განცხადებით, მოპასუხე ასოციაცია აფერხებდა მისი წევრი მწარმოებლების ორგანიზაციიდან გასვლის პროცესს, რის შედეგადაც აღნიშნულ მწარმოებლებს არ ეძლეოდათ შესაძლებლობა გაწევრიანებულიყვნენ ალტერნატიულ მგვ ორგანიზაციაში. მომჩივნის განმარტებით, აღნიშნული ქმედებები შეეხო იმ მწარმოებლებს, რომლებმაც გამოთქვეს „მგვ საქართველოში“ გაწევრიანების სურვილი. შედეგად, მისი პოზიციით, შეიქმნა ბაზარზე შესვლის ხელოვნური ბარიერი, რამაც ხელი შეუშალა მის საქმიანობას, მაშინ როდესაც, „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“ წარმოადგენდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ავტორიზებულ ერთადერთ მგვ ორგანიზაციას საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრო და ელექტრონული

[40] კონკურენციის ტერმინთა განმარტების ლექსიკონი, 2019 წ. გვ. 52.
[41] საქმე C-41/90 Höfner and Elser [1991] ECR I-1979, პუნქტი 21, და გაერთიანებული საქმეები C-264/01, C-306/01, C-354/01 და C-355/01 AOK Bundesverband and Others [2004] ECR I-2493, პუნქტი 46.
[42] საქმე Case C-35/96 Commission v Italy [1998] ECR I-3851, პუნქტი 36, და Joined Cases C-180/98 to C-184/98 Pavlov and Others [2000] ECR I-6451, პუნქტი 75.

მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის სფეროში.

იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში, შეფასდეს ეკონომიკური აგენტის ქმედებათა შესაბამისობა კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებთან მიმართებით, აუცილებელია, საჩივარში მითითებული ქმედება ექცეოდეს აღნიშნული ნორმის დისპოზიციაში. აგრეთვე, იმისათვის, რომ სახეზე იყოს კანონის მე-6 მუხლით აკრძალული ქმედება, აუცილებელია შემდეგი ორი ძირითადი წინაპირობის კუმულატიურად არსებობა: ა) ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე და ბ) აღნიშნული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. შესაბამისად, დასახელებული ნორმის დარღვევა სახეზეა მაშინ, როდესაც ქმედება ხორციელდება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონის მე-6 მუხლთან მიმართებაში, მოკვლევის ფარგლებში, სააგენტოს პირველადი შეფასების უმთავრეს საგანს წარმოადგენს ის, თუ რამდენადაა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე დასახელებული ორი წინაპირობის კუმულატიურად არსებობის ფაქტი.

3. დომინანტური მდგომარეობა

დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შესახებ მსჯელობისას, შესაბამისი ბაზრის განსაზღვრის შემდგომ უნდა დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა მოპასუხე კანონის მე-6 მუხლის სუბიექტს (ფლობს თუ არა დომინანტურ მდგომარეობას).

უნდა აღინიშნოს, რომ დომინანტური მდგომარეობის ფლობა კონკურენციის კანონმდებლობით აკრძალული არაა. თუმცა, დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტებს გააჩნიათ პასუხისმგებლობა, არ განახორციელონ კონკრეტული ქმედებები, რომლებიც ჯანსაღ კონკურენციას ზიანს აყენებს.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით, დომინანტური მდგომარეობა არის „შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუ სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/აგენტები არ ჩაითვლება/ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ თუ შესაბამის ბაზარზე მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.“

ამასთან, კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა განისაზღვრება შესაბამის ბაზარზე მისი საბაზრო წილის, კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ფინანსური მდგომარეობის, ბაზარზე შესვლის ან წარმოების გაფართოების

ბარიერების, მყიდველის საბაზრო ძალაუფლების, ნედლეული წყაროების ხელმისაწვდომობის, ვერტიკალური ინტეგრაციის ხარისხის, ქსელური ეფექტებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით.

დომინანტური მდგომარეობის საკანონმდებლო დეფინიცია შინაარსობრივად იმეორებს ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ მიდგომებს. კერძოდ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა გულისხმობს ისეთ ეკონომიკურ ძალაუფლებას, რომელიც მას საშუალებას აძლევს, იმოქმედოს მისი კონკურენტების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისაგან დამოუკიდებლად და შესაბამის ბაზარზე შეზღუდოს ეფექტიანი კონკურენცია[43]. ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა გამომდინარეობს სხვადასხვა ფაქტორების კომბინაციიდან, რომელთაგან ცალკე აღებული ერთ-ერთი ფაქტორი შესაძლოა არ იყოს საკმარისი მსგავსი საბაზრო ძალაუფლების დასადგენად[44]. თუმცა, მართლმსაჯულების სასამართლო, ასევე, აღნიშნავს, რომ შესაბამის ბაზარზე არსებული საბაზრო წილი წარმოადგენს ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს დომინანტური მდგომარეობის დასადგენად[45]. ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო აღნიშნავს, რომ ძალიან მაღალი საბაზრო წილი, გარდა განსაკუთრებული საგამონაკლისო შემთხვევებისა, თავისთავად წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის არსებობის დამადასტურებელ მტკიცებულებას[46].

სააგენტო, პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ საბაზრო წილებთან მიმართებით ევროპის კავშირის მიდგომას იმეორებს კანონის მე-3 მუხლის „ი“ქვეპუნქტის მეორე წინადადება, სადაც კანონმდებელი გვთავაზობს საბაზრო წილის კონკრეტულ ნიშნულს, რომლის ქვემოთაც აუცილებელია სხვა დამატებითი მტკიცებულებების არსებობა იმისათვის, რომ დადგინდეს კონკრეტული ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა. საბაზრო წილის 40 პროცენტიანი ნიშნული ქმნის ერთგვარ „უსაფრთხო თავშესაფარს“, რის შედეგადაც აღნიშნულ ზღვარს ქვემოთ არსებული საბაზრო წილი ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობა (კონკურენტების, მიმწოდებლების, კლიენტებისა და მომხმარებლებისგან დამოუკიდებელი მოქმედების, ბაზარზე საქონლის მიმოქცევის პირობებზე გავლენის მოხდენისა და კონკურენციის შეზღუდვის შესაძლებლობა) არ არის სახეზე, თუ ამისათვის არ არსებობს სხვა გარემოებები ან/და მტკიცებულებები. 40%-იანი ნიშნულის ზემოთ საბაზრო წილის შემთხვევაში კი, უკვე არის ალბათობა იმისა, რომ დადგინდეს ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ფლობა.

ეკონომიკური აგენტის საბაზრო წილის განსაზღვრის პროცესში, თავდაპირველად, აუცილებელია იმ სუბიექტების იდენტიფიცირება, რომლებიც ოპერირებენ შესაბამის ბაზარზე.

---

[43] ECLI:EU:C:1978:22, Case 27/76, “United Brands”, §65; ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, “Hoffmann-La Roche,” §38; ECLI:EU:C:1983:313, Case 322/81, “Michelin”, §30; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, “Hilti AG”, §90

[44] ECLI:EU:C:1978:22, Case 27/76, “United Brands”, §66; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, “Hilti AG”, §90

[45] ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, “Hoffmann-La Roche,” §39/3; ECLI:EU:T:1991:70, Case T-30/89, “Hilti AG”, §90

[46] ECLI:EU:C:1986:192, “AKZO Chemie BV” , §60; ECLI:EU:C:1979:36, Case 85/76, “Hoffmann-La Roche,” §4

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-15 მუხლის მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა გამოვლენა ხდება სტატისტიკურ ან საგადასახადო მონაცემებზე დაყრდნობით, გამოკითხვებით ან სხვა საშუალებებით.

წინამდებარე საქმის მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს მიერ გამოთხოვნილი/მიღებული[47], ასევე, საჯარო წყაროებში ხელმისაწვდომი[48] ინფორმაციის საფუძველზე დადგენილია ფაქტობრივი გარემოება, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საქართველოში შესაბამისი ავტორიზაცია, ჯამურად, მიღებული აქვს რამდენიმე მგვ ორგანიზაციას, მათ შორის - მოპასუხე საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციას. ამასთან, ავტორიზაცია მოპასუხეს მინიჭებული აქვს შესაბამისობის შემდეგი კოლექტიური სქემით: ნარჩენი ზეთები, ნარჩენი საბურავები, ნარჩენი ბატარეები და აკუმულატორები, ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები. ავტორიზებული მგვ ორგანიზაციების ჩამონათვალის მიხედვით, ასევე, დგინდება, რომ მოპასუხე წარმოადგენს ერთადერთ ორგანიზაციას, რომელსაც აქვს ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებისა და ნარჩენი ბატარეების მიმართულებით ავტორიზაცია და მის საფუძველზე, უფლებამოსილება განახორციელოს ოპერირება აღნიშნულ სფეროში.

აქედან გამომდინარე, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების შესრულების მომსახურების ბაზარზე არ ოპერირებს მოპასუხის გარდა სხვა სუბიექტი და ბაზრის მთლიანი მოცულობა უკავია საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციას. მოპასუხემ ახსნა-განმარტებით შეხვედრაზე განმარტა[49], რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, 2021 წლის დეკემბერში მათ დააფუძნეს (ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“, რათა უზრუნველყოთ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების პოლიტიკის განხორციელება. მათ ავტორიზაციის მიღების პერიოდში გააჩნდათ ბაზრის 10 პროცენტიანი წილი, რაც მგვ ორგანიზაციის დაფუძნების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. ამდენად, აღნიშნული პერიოდიდან მოპასუხე შესაბამის ბაზარზე 100-პროცენტიან საბაზრო წილს ფლობს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, დომინანტური მდგომარეობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო ითვალისწინებს საბაზრო წილისგან განსხვავებულ სხვა სტრუქტურულ ფაქტორებსაც, რომლებმაც შესაძლო გააძლიერონ ან შეასუსტონ ეკონომიკური აგენტის საბაზრო ძალაუფლება. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე შესაბამისი ბაზრის 100 პროცენტს იკავებს და ასეთი საბაზრო წილი უკვე თავისთავად წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის განსაკუთრებულად ძლიერ მტკიცებულებას.

[47] სააგენტოს წერილი N02/2433 (15.04.2026) და სააგენტოში შემოსული წერილი N01/3560 (23.04.2026)
[48] იხ. ბმული - https://waste.mepa.gov.ge/Methodology/Index [21.07.2026]
[49] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1, 03:05-05:10 წთ

ამის მიუხედავად, სააგენტო საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიიჩნევს განიხილოს შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებიც, კონკრეტულად კი იმ სამართლებრივი რეგულაციების გავლენა, რომელიც მოქმედებს ნარჩენების მართვის მიმართულებით ავტორიზაციის ნაწილში. აღნიშნული საკანონმდებლო/რეგულატორული ბარიერი, რომელიც დასტურდება ფაქტობრივი გარემოებებით, კიდევ უფრო ამყარებს ეკონომიკური აგენტის დომინანტურ მდგომარეობას. რაც შეეხება, სხვა სტრუქტურულ ფაქტორებს, საქმეში არ იკვეთება ისეთი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ექნება მოპასუხის საბაზრო ძალაუფლების განსაზღვრის ნაწილში. შესაბამისად, სააგენტო მათზე აღარ იმსჯელებს.

მოპასუხის მიერ განხორციელებული საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს მიხედვით. ამ სამართლებრივი ჩარჩოს ძირითად ნორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის N326 დადგენილება „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, რომელიც დეტალურად არეგულირებს მგვ ორგანიზაციის საქმიანობასთან (მათ შორის, ორგანიზაციების შექმნასთან/ავტორიზაციასთან) დაკავშირებულ საკითხებს.

ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, მგვ ორგანიზაცია, სანამ საქმიანობას შეუდგება, ვალდებულია მიიღოს ავტორიზაცია, რომელსაც გასცემს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტო[50]. ავტორიზაციის მიზნებისთვის კი მწარმოებელმა ინდივიდუალურად ან სხვა მწარმოებლებთან ერთად უნდა შექმნას მგვ ორგანიზაცია, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ სპეციალურ წინაპირობებთან. კერძოდ, მგვ ორგანიზაციის შექმნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ასეთი ორგანიზაციის წევრი მწარმოებლების (ჯამურად) ბაზრის წილი შეადგენს მთლიანი ბაზრის არანაკლებ 10%-ს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩო შესაბამის ბაზარზე ახალი ეკონომიკური აგენტების შესვლის შესაძლებლობას მნიშვნელოვნად ზღუდავს. ამას ადასტურებს თავად საჩივარში მითითებული გარემოებებიც. ბაზარზე შესვლის ასეთი სამართლებრივი ბარიერი ამცირებს პოტენციური კონკურენციის შესაძლებლობას და იცავს მოპასუხეს კონკურენტული წნეხისგან.

შესაბამისად, მოპასუხე არა მხოლოდ ფლობს შესაბამისი ბაზრის 100%-იან წილს, არამედ მისი საბაზრო ძალაუფლება განმტკიცებულია დამატებით ბაზარზე შესვლის მაღალი სამართლებრივი ბარიერით. აღნიშნული გარემოებები ერთობლიობაში ადასტურებს, რომ მოპასუხეს გააჩნია შესაძლებლობა, იმოქმედოს კონკურენტების, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად და არსებითი გავლენა მოახდინოს შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის პირობებზე და შეზღუდოს კონკურენცია.

[50] ტექნიკური რეგლამენტის მე-7, მე-8 და მე-10 მუხლები, ასევე, რეგლამენტის დანართი III

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიიჩნევს, რომ მოპასუხე წარმოადგენს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკურ აგენტს და შესაბამისად, კანონის მე-6 მუხლის სუბიექტს.

4. ქმედების შეფასება კანონის მე-6 მუხლის დარღვევასთან მიმართებით

4.1. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი ბუნება

უშუალოდ სადავო ქმედებების შეფასებამდე, პირველ რიგში, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გამახვილდეს მოპასუხე - „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციასა“ და მის წევრ მწარმოებლებს შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივ ბუნებაზე, რადგან საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები და წარმოდგენილი ურთიერთობა მიუთითებს მათ შორის არსებულ სახელშეკრულებო-ვალდებულებითი ურთიერთობის არსებობაზე.

სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გამახვილდეს სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპსა და ე.წ. კონტრაჰირების იძულებაზე. მნიშვნელოვანია, ზუსტად განისაზღვროს, თუ რა ადგილი შეიძლება ჰქონდეს სახელშეკრულებო თავისუფლების კერძოსამართლებრივ პრინციპს დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის კონკრეტული ქმედებების კანონის მე-6 მუხლთან მიმართებაში შეფასებისას.

ხელშეკრულების დადების თავისუფლება სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველია. ხელშეკრულების თავისუფლების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 319-ე მუხლი.[51]

საქმეში წარმოდგენილი გარემოებების შესაბამისად, საჩივარში დასმული საკითხი უკავშირდება ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის სფეროში მწარმოებლებისთვის დადგენილი ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც გამომდინარეობს ნარჩენების მართვის სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში მოქმედი მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) პრინციპიდან. თავის მხრივ, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების მიზანია მწარმოებლის პასუხისმგებლობის გავრცელება პროდუქტის მთელი სიცოცხლის ციკლზე, მათ შორის, პროდუქტის ნარჩენად ქცევის შემდგომ ეტაპზეც. აღნიშნული პრინციპი განსაზღვრულია საქართველოს ნორმატიულ აქტებში.

საგულისხმოა, რომ მგვ-ის ორგანიზაციებსა და მწარმოებლებს შორის ურთიერთობების საფუძველი დადგენილია საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით. თავის მხრივ, კოდექსით დადგენილი ზოგადი სამართლებრივი ჩარჩოს საფუძველზე მიღებული სპეციალური კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25

[51] საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა, გადაწყვეტილება №ას-664-635-2016

მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის თანახმად, მწარმოებლის მონაწილეობა მგვ-ის სისტემაში ხორციელდება მგვ-ის ორგანიზაციასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს წევრობის სამართლებრივ საფუძველს და სავალდებულოდ აისახება შესაბამის რეესტრში. ამ რეგულირების მიზანია მწარმოებლების იდენტიფიცირების უზრუნველყოფა, მათი საქმიანობის მონიტორინგი და ნარჩენების მართვის სისტემაში პასუხისმგებლობის მკაფიო განსაზღვრა. ამავე მუხლის შესაბამისად, მგვ-ის ორგანიზაციის წევრს ეკისრება რიგი ვალდებულებები, მათ შორის:

- რეციკლირების წინასწარი შენატანის გადახდა მის მიერ ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების რაოდენობის შესაბამისად;
- ახალი მგვ-ის ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადების შემთხვევაში წინა მგვ-ის ორგანიზაციასთან ხელშეკრულების შეწყვეტის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენა.

სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მითითებული ნორმების სისტემური და მიზნობრივი ინტერპრეტაციიდან გამომდინარე, მგვ-ის ორგანიზაციებსა და მწარმოებლებს შორის ურთიერთობები წარმოადგენს სპეციალური სამართლებრივი რეგულირების საგანს. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ მგვ-ის ორგანიზაციაში გაწევრიანება ფორმალურად ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, აღნიშნული ხელშეკრულება მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი იმპერატიული მოთხოვნების ფარგლებში, რაც ნიშნავს, რომ მხარეთა შეთანხმება ვერ შეცვლის ან ვერ გააუქმებს რეგლამენტით დადგენილ სავალდებულო წესებს.

ამ კონტექსტში, საგულისხმოა, რომ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ შეზღუდვას, რომლის მიხედვით ***მწარმოებელი უფლებამოსილია იყოს მხოლოდ ერთი მგვ-ის ორგანიზაციის წევრი.*** თავის მხრივ, აღნიშნული რეგულირება ემსახურება პასუხისმგებლობის დუბლირების თავიდან არიდებას და ნარჩენების მართვის სისტემაში ფინანსური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მკაფიო განაწილების უზრუნველყოფას. ამასთან, ამავე ნორმით დგინდება იმპერატიული მოთხოვნა, რომ ***მგვ-ის ორგანიზაციის წევრობიდან გასვლა შესაძლებელია მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულებისა და შესაბამისი ფინანსური ურთიერთანგარიშსწორების სრულად განხორციელების შემდეგ***. შესაბამისად, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ვერ განსაზღვრავს ამ წესისგან განსხვავებულ ან ალტერნატიულ პირობებს, ვინაიდან მისი შინაარსი წინასწარ არის დადგენილი და შეზღუდული რეგლამენტით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი არ განეკუთვნება არც მგვ-ის ორგანიზაციის და არც წევრი მწარმოებლის დისკრეციულ უფლებამოსილებას, ვინაიდან იგი იმპერატიული ხასიათის რეგულირებას წარმოადგენს და არ ექვემდებარება მხარეთა შეთანხმებით შეცვლას.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და ინფორმაციით დგინდება, რომ მომჩივანი ასოციაციის მმართველობით ორგანოში შემავალ ერთ-ერთ კომპანიას - შპს „კორეან ელექტრონიქსს“ და მოპასუხეს შორის სამართლებრივი ურთიერთობა

რეგულირდება მათ შორის 2022 წლის 26 ივნისს დადებული ხელშეკრულებით – ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციაში“ გაწევრიანებისა და ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. თავის მხრივ, აღნიშნული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მწარმოებლის განაცხადის საფუძველზე მისი ასოციაციის წევრად მიღება და მხარეთა შორის ურთიერთთანამშრომლობა, რაც ხორციელდება მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესაბამისობის კოლექტიურ სქემაში ჩართვის გზით, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მიმართულებით. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების 2.2.3 პუნქტის შესაბამისად, მწარმოებელი ვალდებულია დაიცვას ასოციაციის წესდება, აგრეთვე ასოციაციის მიერ მიღებული აქტები.

შესაბამისად, ცხადია, რომ მგვ ორგანიზაციასა და მის წევრ მწარმოებლებს შორის არსებობს სახელშეკრულებო საფუძვლით წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობა, რომლის შინაარსიც განსაზღვრულია სამართლებრივი აქტებით დადგენილი იმპერატიული ნორმებით.

ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ სააგენტო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე საკითხებს აფასებს მხოლოდ კონკურენციის სამართლებრივი თვალსაზრისით, რამდენად არსებობს გონივრული ეჭვი, რომ აღნიშნული ქმედებები კონკურენციის საწინააღმდეგო ხასიათისაა. ამასთან, ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ფარგლებში მომჩივანმა დამატებით დააყენა საკითხი წევრობიდან გასვლის წინაპირობად ფინანსური ურთიერთანგარიშსწორების სრულად განხორციელების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შესახებ და მიუთითა, რომ აღნიშნული მოთხოვნა, მისი შეფასებით, არ უნდა წარმოადგენდეს მგვ-ის ორგანიზაციაში წევრობის შეწყვეტის წინაპირობას.[52]

ამ კუთხით, სააგენტო, ასევე, მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს იმ გარემოებაზე, რომ ფინანსური ურთიერთანგარიშსწორების სრულად განხორციელების მოთხოვნა თავისთავად არ წარმოადგენს მოპასუხე ასოციაციის მიერ ცალმხრივად დადგენილ პირობას ან მის კომერციულ პოლიტიკას, არამედ გამომდინარეობს მგვ-ის სისტემის მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოდან და ემსახურება აღნიშნული სისტემის სათანადო ფუნქციონირებისა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფას. ამასთან, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება თავის მხრივ წარმოადგენს ნარჩენების მართვის პოლიტიკის ფარგლებში სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას, რაც დაკავშირებულია ნარჩენების წარმოქმნისა და გარემოზე მათი ზემოქმედების შემცირებასთან, ნარჩენების სათანადო მართვის უზრუნველყოფასა და რესურსების უფრო ეფექტიან გამოყენებასთან. აღნიშნული მოთხოვნა დაკავშირებულია, ერთი მხრივ, მწარმოებლის მიერ მის მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქციის შედეგად წარმოშობილი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფასთან და, მეორე მხრივ, მგვ-ის ორგანიზაციის მიერ შესაბამისი ვალდებულებების უწყვეტად შესრულებასთან. შესაბამისად, ფინანსური ურთიერთანგარიშსწორების სათანადო განხორციელება არ უნდა იქნეს განხილული მხოლოდ

[52] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N2, 07:20-07:28, 23:30-23:43, 34:50-36:05 წთ

წევრობასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ან ფინანსური ურთიერთობის ფარგლებში, არამედ იმ სამართლებრივი და ინსტიტუციური მექანიზმის ნაწილად, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების სისტემის გამართული ფუნქციონირება და სახელმწიფოს მიერ ნარჩენების მართვის სფეროში განსაზღვრული მიზნების განხორციელება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ***სააგენტო ხაზგასმით მიუთითებს, რომ მისი შეფასების საგანს არ წარმოადგენს წევრობიდან გასვლის კანონიერ წინაპირობათა ეჭვქვეშ დაყენება***. სააგენტოს მიზანია შეაფასოს, რამდენად მოქმედებდა მოპასუხე კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში და ხომ არ იყენებდა მისთვის მინიჭებულ უფლებებსა და ხელთ არსებულ მექანიზმებს წევრი მწარმოებლების ასოციაციიდან გასვლის დაუსაბუთებლად შეფერხების მიზნით. ამასთან, უნდა შეფასდეს, რამდენად სცდებოდა მოპასუხის ქმედებები კანონიერ ფარგლებს და ხომ არ ქმნიდა იგი წევრი მწარმოებლებისთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელ ან ობიექტურად დაუსაბუთებელ დამატებით წინაპირობებს ასოციაციიდან გასვლისა და ალტერნატიულ მგვ ორგანიზაციაში გაწევრიანების ჭრილში.

4.2. ასოციაციის წესდებაში განხორციელებული ცვლილებები და წევრი მწარმოებლების ინფორმირებულობა

საქმეში წარმოდგენილი მასალებისა და მხარეთა მიერ გაკეთებული განმარტებების შესაბამისად, წევრობიდან გასვლის პროცესთან დაკავშირებით ერთ-ერთ სადავო საკითხს წარმოადგენდა შესაბამისი განცხადების წარდგენის ვადა. მომჩივნის პოზიციით, საჩივარში მითითებულმა კომპანიებმა წესდების მოთხოვნათა დაცვით, საანგარიშო წლის დასრულებამდე (2025 წლის ნოემბერი) მიმართეს ასოციაციას წევრობის შეწყვეტის მოთხოვნით. აღნიშნულისგან განსხვავებით, მოპასუხე მიუთითებდა, რომ წევრობიდან ნებაყოფლობით გასვლისთვის განცხადების წარდგენის ვადა განისაზღვრებოდა ასოციაციის წესდების 9.4 პუნქტით - საანგარიშო პერიოდის 20 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით (არაუგვიანეს მომდევნო წლის 5 იანვრისა). შესაბამისად, მოპასუხის პოზიციით, თავდაპირველად წარდგენილი განცხადება აღნიშნულ ვადას არ აკმაყოფილებდა.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით დასტურდება ასოციაციის წესდების ორი რედაქციის არსებობა - 2021 წლის (თავდაპირველი) და 2025 წლის (განახლებული). საგულისხმოა, რომ წესდების განახლებულ რედაქციაში (2025 წლის) წევრობიდან გასვლის პროცედურასთან დაკავშირებული რიგი საკითხები შეიცვალა და დაკონკრეტდა.

აღნიშნული გარემოება დასმული პრობლემატიკის შეფასებისას ერთ-ერთ არსებით საკითხს წარმოადგენს, ვინაიდან მომჩივნის პრეტენზიები არ უკავშირდება მხოლოდ განცხადების წარდგენის ვადებს, იგი, ასევე, მიუთითებს, რომ არ იცნობდა წესდების ახალ რედაქციას და არ ფლობდა ინფორმაციას გასვლის პროცედურასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ.[53] შესაბამისად, <u>სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს შეფასდეს როგორც აღნიშნული</u>

[53] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი სხდომის ოქმი N2, 31:00-31:30 წთ

ვადების შინაარსი, ისე ცვლილებების გამჭვირვალობა და წევრი მწარმოებლების დროული/სათანადო ინფორმირებულობა აღნიშნულის თაობაზე.

წესდებაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ფარგლებში მოპასუხე ასოციაციის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ წესდების წინა რედაქცია გარკვეულ საკითხებს სრულყოფილად არ არეგულირებდა და, მათ შორის, ბუნდოვანი იყო წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებული პროცედურული საკითხები და შესაბამისი ვადები. მოპასუხის განმარტებით, სწორედ აღნიშნული ბუნდოვანების აღმოფხვრისა და წევრობის შეწყვეტის პროცედურის მეტი სიცხადით განსაზღვრის მიზნით განხორციელდა წესდებაში ცვლილებები. ამდენად, მათი განმარტებით, მოპასუხის მიერ დასახელებული ცვლილების მიზანი უკავშირდებოდა წევრობის შეწყვეტის პროცედურის დაზუსტებას და არა წევრი მწარმოებლებისათვის ორგანიზაციიდან გასვლის შესაძლებლობის შეზღუდვას.[54]

მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ ასოციაცია ყოველწლიურად ატარებს ასოცირებულ წევრთა საერთო კრებას, რომლის ფარგლებშიც განიხილება და წყდება ასოციაციის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. მათ შორის, ასოციაციის წესდებაში ცვლილებების განხორციელების საკითხი.[55] მოპასუხის წარმომადგენლების მითითებით, წესდებაში განსახორციელებელი ცვლილების მიზნით, შედგა საერთო კრება, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ასოციაციის წევრობის დატოვების განცხადების წარდგენის ვადების გაწერისა და დამტკიცების თაობაზე. ასოციაციის წესდების შესაბამისად, ასოციაციის მართვის უმაღლესი ორგანოა წევრთა საერთო კრება, რომელიც იმართება წელიწადში ერთხელ მაინც და იგი მოიწვევა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად. ასოციაციის წევრთა საერთო კრება უფლებამოსილია, თუკი მას ესწრება ასოციაციის ყველა დამფუძნებელი წევრი და ასოცირებულ წევრთა 1/2.[56] ამასთან, წესდების შესაბამისად, ასოციაციის წევრთა საერთო კრება ტარდება მოწვევის შესახებ განცხადებისა და დღის წესრიგის ბეჭდვით ორგანოში ან/და ასოციაციის ვებ-გვერდზე ან/და ასოციაციის კუთვნილი/მფლობელობაში არსებულ შესაბამის ელექტრონულ რესურსზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არაუადრეს 10 დღისა, რა დროსაც წევრებისადმი გაგზავნილი შეტყობინება კრების მოწვევის თაობაზე ჩაითვლება განხორციელებულად და მხარისადმი ჩაბარებულ შეტყობინებად, მოწვევის შესახებ განცხადების გაგზავნით ასოციაციის წევრთან საკონტაქტო ელექტრონულ მეილზე, გაგზავნიდან არაუგვიანეს მე-3 სამუშაო დღეს.[57] მოპასუხის განმარტებით, როგორც ძირითად, ისე ხელმეორედ ჩატარებულ საერთო კრებაზე მოწვეულ იქნა ასოციაციის ყველა წევრი, მათ შორის შპს „კორეან ელექტრონიქსი“, შპს „ფრანკო“, შპს „სინათლე“, შპს „ტექნოჰაუსი“ და შპს „გლობალ დისტრიბუშენი“, თუმცა მათ საერთო კრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. მოპასუხის განმარტებით, წესდებაში

[54] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1, 31:30-31:55 წთ
[55] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1, 32:40-33:10 წთ
[56] წესდების 11.1 მუხლი
[57] იქვე 11.4. მუხლები

განხორციელებული ცვლილების თაობაზე მგვ ასოციაციის ყველა წევრს ეცნობა, მათ შორის ზემოხსენებულ 5 კომპანიასაც.[58]

დამატებით, საქმის მოკვლევის ფარგლებში, მოპასუხემ სააგენტოში მტკიცებულების სახით წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია[59], მათ შორის, წევრ მწარმოებლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე (რომლებიც, ხელშეკრულების შესაბამისად, წარმოადგენს მხარეთა ოფიციალურ საკონტაქტო მისამართებს) გაგზავნილი კორესპონდენციის ასლები. წარმოდგენილი მასალებიდან ირკვევა, რომ საჩივარში მოხსენიებულ კომპანიებს - **შპს „კორეან ელექტრონიქსი“, შპს „სინათლე“, შპს „გლობალ დისთრიბუშენი“, შპს „ტექნოჰაუსი“ და შპს „ფრანკო“** - წინასწარ მიეწოდათ ინფორმაცია „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ ასოცირებულ წევრთა საერთო კრების ჩატარების შესახებ. ამავე კორესპონდენციით, კომპანიებს ასევე ეცნობათ საერთო კრების დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, მათ შორის, ასოციაციის წესდებაში განსახორციელებელი ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად, წესდების ახალი რედაქციის განხილვა-დამტკიცების საკითხი. ამასთან, აღნიშნულ კომპანიებს წინასწარ გაეგზავნათ წესდების ახალი რედაქციის პროექტიც.

აღნიშნული გარემოება არსებითია ამ ნაწილში მომჩივნის აპელირების შესაფასებლად. საქმის მტკიცებულებებით დასტურდება, რომ კომპანიების წინასწარ ეცნობათ საერთო კრებისა და წესდებაში ცვლილებების ინიცირების თაობაზე. მხოლოდ ის ფაქტი, რომ კონკრეტული წევრი მწარმოებელი არ გაეცნო ინფორმაციას, მოპასუხის მხრიდან ინფორმაციის დამალვასა ან ცვლილების ფარულად განხორციელებაზე არ მიუთითებს. ***ინფორმაციის სათანადო წესით მიწოდება და მისი ფაქტობრივი გაცნობა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს.*** თუკი წევრ მწარმოებელს ინფორმაცია შეთანხმებული საკომუნიკაციო არხით მიეწოდა, მისი გაცნობა უკვე თავად წევრი კომპანიის პასუხისმგებლობაა. შესაბამისად, მხოლოდ ის გარემოება, რომ კომპანიამ მისთვის გაგზავნილი ინფორმაცია არ შეისწავლა ან წესდების ახალი რედაქციის შინაარსს არ გაეცნო, ვერ იქნება ავტომატურად მიჩნეული მოპასუხის მიერ ინფორმაციის მიუწოდებლობად.

4.3. მგვ ორგანიზაციის წევრობიდან გასვლის პროცესთან დაკავშირებული გარემოებები

მოკვლევის ფარგლებში არსებითად შესაფასებელი პრობლემატიკა უკავშირდებოდა „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ წევრი კომპანიების მიერ ასოციაციის წევრობიდან გასვლის საკითხს. კერძოდ, მომჩივნის პოზიციით, წევრობიდან გასვლის მსურველი კომპანიების მიერ შესაბამისი განცხადების წარდგენისა და წევრობიდან გასვლის პროცედურის დაწყების მიუხედავად, წლის დასაწყისში, კერძოდ, იანვრის თვეში, რეციკლირების გადასახადის გადახდა ასოციაციის მიერ განიხილებოდა წევრობის გაგრძელების საფუძვლად, რაც, თავის მხრივ, ფაქტობრივად გამორიცხავდა

[58] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1, , 32:45-34:50 წთ

[59] სააგენტოში შემოსული წერილი (რეგ. N01/6295; 13.07.2026)

შესაბამისი წლის განმავლობაში ასოციაციის წევრობიდან გასვლას და კომპანიებს წევრობა წლის ბოლომდე უგრძელდებოდათ.

აღნიშნულის გათვალისწინებით, სააგენტოსთვის საქმის მოკვლევის ფარგლებში არსებითად შესაფასებელ საკითხს წარმოადგენდა იმის დადგენა, ითვალისწინებდა თუ არა მოპასუხე ასოციაციის მოქმედი პრაქტიკა წევრი კომპანიის მიერ წევრობიდან გასვლის სურვილის გამოხატვის მიუხედავად, იანვრის თვის რეციკლირების გადასახადის გადახდის შემთხვევაში, მისი წევრობის შესაბამისი წლის ბოლომდე გაგრძელებას და, შესაბამისად, რამდენად ზღუდავდა აღნიშნული პრაქტიკა მწარმოებლების შესაძლებლობას, დაეტოვებინათ ასოციაცია.

სააგენტომ დეტალურად შეისწავლა მგვ ორგანიზაციიდან გასვლის პროცედურასთან დაკავშირებული წესები და დადგენილი პრაქტიკა. საქმის მასალებით დგინდება, რომ მგვ ორგანიზაციიდან გასვლის საკითხი რეგულირდება როგორც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული იმპერატიული მოთხოვნებით, ისე აღნიშნული რეგულაციური ჩარჩოს საფუძველზე და მის ფარგლებში შემუშავებული ხელშეკრულებითა და ასოციაციის წესდებით.

ტექნიკური რეგლამენტით მგვ ორგანიზაციიდან გასვლისთვის დადგენილ ძირითად წინაპირობებს წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის დასრულება და შესაბამისი ფინანსური ვალდებულებების სრულად შესრულება. აღნიშნული მოთხოვნები ემსახურება მგვ სისტემის ფინანსური და ინსტიტუციური სტაბილურობის უზრუნველყოფას და იმ რისკების პრევენციას, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას მწარმოებლის მიერ სისტემიდან ფინანსური ვალდებულებების შეუსრულებლად გასვლის შემთხვევაში. შესაბამისად, მათი შესრულება წარმოადგენს არა მხარეთა დისკრეციის, არამედ ნორმატიული მოთხოვნების საფუძველზე განსაზღვრულ აუცილებელ პირობას. ამდენად, მგვ ორგანიზაციების საქმიანობა ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციურ ჩარჩოში, რომლის ფარგლებშიც წევრობის პირობები, შესაბამისი ფინანსური ვალდებულებები და წევრობიდან გასვლის წესები წინასწარ არის განსაზღვრული და არ წარმოადგენს მხარეთა თავისუფალი მოლაპარაკების ან ცალმხრივად განსაზღვრული კომერციული პირობების საგანს.

ამასთან, სააგენტოსთვის განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა წევრობიდან გასვლის შესახებ განცხადების წარდგენის ვადა და აღნიშნული პროცედურის ადმინისტრირების პრაქტიკა. როგორც აღინიშნა, მგვ ორგანიზაციიდან გასვლისთვის შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულების მოთხოვნა მოქმედი რეგულაციური ჩარჩოდან გამომდინარეობს. ამასთან, მოპასუხე ასოციაციის მოქმედი წესდების 9.4 პუნქტის შესაბამისად, ასოციაციიდან ნებაყოფლობით გასვლის შესახებ განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს საანგარიშო პერიოდის დასრულების წინ, კერძოდ, საანგარიშო პერიოდის 20 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშო პერიოდის 5 იანვრისა.

აღნიშნული წესით, განცხადების წარდგენის ვადა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ პერიოდზეც ვრცელდება. მოპასუხის განმარტებით, 5 იანვრის ჩათვლით

განცხადების წარდგენის შესაძლებლობის გათვალისწინება განპირობებული იყო წევრი მწარმოებლებისთვის პროცედურის გამარტივებისა და მეტი მოქნილობის უზრუნველყოფის მიზნით, იმ შემთხვევაში, თუ ასოციაციის წევრი 31 დეკემბერამდე ვერ მოახერხებდა განცხადების წარდგენას, სუბიექტებს ჰქონოდათ შესაძლებლობა და დამატებითი ვადა ასეთი განცხადების წარდგენისთვის.[60] აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტოს შეფასებით, განცხადების წარდგენის ვადის მომდევნო საანგარიშო პერიოდის პირველ დღეებზე გავრცელება თავისთავად არ უნდა იქნეს აღქმული, როგორც წევრობიდან გასვლის შეზღუდვის ან წევრი მწარმოებლის ასოციაციაში „ჩაკეტვის“ მექანიზმი, თუკი სხვა დამატებითი საეჭვო გარემოება არ იკვეთება.

ყურადსაღებია მოპასუხე ასოციაციის წარმომადგენელთა მიერ ინდივიდუალური ახსნა-განმარტების შეხვედრაზე გაკეთებული განმარტებები მგვ ორგანიზაციიდან გასვლის ერთ-ერთ წინაპირობასთან - ფინანსური ვალდებულებების სრულად შესრულებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მოპასუხის განმარტებით, წევრობიდან გასვლის შემთხვევაში წევრ მწარმოებელს ეკისრება რეციკლირების წინასწარი შენატანის სრულად გადახდის ვალდებულება, რომლის ოდენობის განსაზღვრა, თავის მხრივ, დამოკიდებულია მწარმოებლის მიერ ბაზარზე განთავსებული შესაბამისი პროდუქციის მოცულობის შესახებ დეკლარირებულ მონაცემებზე. ამასთან, ***მოპასუხემ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ასოციაციას არ გააჩნია სამართლებრივი ან ტექნიკური შესაძლებლობა, დამოუკიდებლად გადაამოწმოს წევრი კომპანიების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე, მათ შორის, ბაზარზე განთავსებული პროდუქციის მოცულობის შესახებ მონაცემები.*** შესაბამისად, ასოციაცია აღნიშნულ საკითხში მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თავად წევრი მწარმოებლების მიერ ინფორმაციის სრულად, სწორად და კეთილსინდისიერად დეკლარირებაზე, აგრეთვე შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისგან, მათ შორის, სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიღებულ ინფორმაციაზე.

მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოქმედი რეგულირების ფარგლებში ***ასოციაცია ვალდებულია ყოველი წლის ოქტომბრის ბოლომდე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინოს მომავალი წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც, მათ შორის, აისახება მომავალი წლის განმავლობაში ბაზარზე განსათავსებელი პროდუქციის სავარაუდო მოცულობა.*** ამასთან, მომდევნო წლის 1 აპრილამდე ასოციაცია ვალდებულია წარადგინოს წინა წლის შესრულების შესახებ ანგარიში, რომელიც უკვე ფაქტობრივად განხორციელებულ საქმიანობასა და მონაცემებს ეფუძნება. მოპასუხის განმარტებით, აღნიშნულ ორ პერიოდს შორის შესაძლოა არსებითად შეიცვალოს როგორც ბაზარზე განთავსებული პროდუქციის ფაქტობრივი მოცულობა, ისე ასოციაციის წევრთა შემადგენლობა, ვინაიდან ნოემბერ-დეკემბრის პერიოდში შესაძლებელია როგორც ახალი წევრების შემოერთება, ისე არსებული წევრების ასოციაციიდან გასვლა. ***შესაბამისად, ოქტომბერში წარდგენილ სამოქმედო გეგმაში ასახული საპროგნოზო მონაცემები წლის შემდგომ პერიოდში შესაძლოა აღარ შეესაბამებოდეს ფაქტობრივ მდგომარეობას.*** ამასთან, მოპასუხემ მიუთითა, რომ არსებული რეგულირების ფარგლებში სამოქმედო გეგმაში

[60] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1, 58:45-1:00:20 წთ

ასახული მონაცემების შემდგომი კორექტირების შესაძლებლობა არ არის გათვალისწინებული, მაშინ როდესაც წლის დასრულების შემდგომ, ფაქტობრივი მონაცემების დადგენის ეტაპზე, აღნიშნული სხვაობის დაზუსტება ხდება საჭირო. ამასთან, საპროგნოზო და ფაქტობრივ მონაცემებს შორის აცდენის შემთხვევაში, მგვ ორგანიზაციისთვის შესაძლოა წარმოიშვას სამინისტროს მხრიდან შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების, დაჯარიმების რისკიც, რაც დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს სამოქმედო გეგმაში ასახული მონაცემების დაზუსტებისა და კორექტირების შესაძლებლობას.

მოპასუხე, ასევე, მიუთითებს, რომ პრაქტიკაში პრობლემურია მწარმოებლების მიერ ანგარიშგების მოთხოვნების სრულად და დროულად შესრულება, მათ შორის, ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობებისა და სხვა შესაბამისი პროდუქციის მოცულობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა. ინფორმაციის დაგვიანებით, არასრულად ან არაზუსტად წარდგენა, თავის მხრივ, ართულებს ასოციაციის მიერ როგორც ფინანსური ვალდებულებების სათანადო ადმინისტრირებას, ისე მომავალი საქმიანობისა და საჭირო ფინანსური რესურსების პროგნოზირებას. ამ კონტექსტში, მოპასუხემ განსაკუთრებულ გამოწვევად ასევე დაასახელა ე.წ. „ფრირაიდერი“ მწარმოებლების არსებობა, რომლებიც, მისი განმარტებით, თავს არიდებენ მგვ სისტემაში რეგისტრაციას ან/და არასწორი მონაცემების წარდგენით ცდილობენ რეციკლირების შენატანის გადახდისთვის თავის არიდებას. შესაბამისად, მოპასუხის პოზიციით, წევრი მწარმოებლების მიერ წარდგენილი ინფორმაციის სიზუსტის გადამოწმების ეფექტიანი მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია როგორც მგვ სისტემის ფინანსური მდგრადობის, ისე ასოციაციის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებების სათანადოდ შესრულების უზრუნველსაყოფად.

მოპასუხის განმარტებით, ***მგვ სისტემის ეფექტიანი ადმინისტრირების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას მწარმოებლების მიერ დეკლარირებული ინფორმაციის სიზუსტის დამოუკიდებლად გადამოწმების შეზღუდული შესაძლებლობა წარმოადგენს.*** კერძოდ, ასოციაციას არ გააჩნია შესაბამისი სამართლებრივი ან ტექნიკური ბერკეტი, რათა გადაამოწმოს მწარმოებლის მიერ იმპორტირებული და ბაზარზე განთავსებული პროდუქციის მოცულობის სისწორე, რის გამოც იგი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული წევრი კომპანიების კეთილსინდისიერებასა და სახელმწიფო უწყებების (შემოსავლების სამსახური) მონაცემებზე. ამასთანავე, ***მიუხედავად იმისა, რომ წევრი მწარმოებლები ვალდებულები არიან, ბაზარზე განთავსებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების მოცულობის შესახებ ინფორმაცია ყოველთვიურად ატვირთონ როგორც მგვ ორგანიზაციის, ისე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ელექტრონულ პორტალებზე, აღნიშნული ვალდებულებების სამართლებრივი რეჟიმი განსხვავებულია.*** კერძოდ, სამინისტროს პორტალზე ინფორმაციის ატვირთვის ვალდებულების შეუსრულებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებულ სანქციას ითვალისწინებს, მაშინ როდესაც მგვ ორგანიზაციის შემთხვევაში სანქციის მექანიზმის გამოყენება მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე გამოირიცხება.

მოპასუხის მითითებით, ***აღნიშნული ინფორმაციის სისწორის კონტროლს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სწორედ იმპორტირებული საქონლის ფაქტობრივ მოცულობაზე დაყრდნობით განისაზღვრება რეციკლირების გადასახადის ოდენობა.*** მონაცემთა სისწორის

დამოუკიდებლად გადამოწმების არარსებობის პირობებში, პრაქტიკაში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ***მგვ ორგანიზაციამ წევრი მწარმოებლის მიერ იმპორტირებული საქონლის მოცულობის გადასამოწმებლად შემოსავლების სამსახურს მიმართა, თუმცა მოთხოვნილი ინფორმაცია კონფიდენციალურ მონაცემებთან დაკავშირებული შეზღუდვების საფუძვლით ვერ მიიღო.*** ამასთან, მოპასუხის განმარტებით, სირთულეებს კიდევ უფრო ამწვავებს მარეგულირებელ ჩარჩოში არსებული ტექნიკური ხარვეზები. კერძოდ კი, ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების ***სასაქონლო კოდების არასრული სია*** მოპასუხის განმარტებით, საქმიანობის განხორციელების პროცესში გამოვლინდა, რომ „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ელექტრონული რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს N2-774 ბრძანებით განსაზღვრული სასაქონლო კოდების ჩამონათვალი სრულად არ მოიცავს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრულ ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების სახეობებს. კერძოდ, ასოციაციის მიერ საკითხის შესწავლისა და ჩატარებული კვლევის შედეგად გამოვლინდა დამატებითი სასაქონლო კოდები (დაახლოებით 1000 (ათასი)), რომლებიც, მისი შეფასებით, შესაბამისი პროდუქციის იდენტიფიცირებისთვის რელევანტურია, თუმცა მოქმედ ჩამონათვალში ასახული არ არის. ამდენად, მოპასუხის პოზიციით, ***პრობლემატიკა ორმაგი ხასიათისაა: ერთი მხრივ, ასოციაციას არ აქვს მწარმოებლების მიერ დეკლარირებული მონაცემების დამოუკიდებლად გადამოწმების სათანადო ბერკეტი, ხოლო, მეორე მხრივ, მონაცემთა გადამოწმების მიზნით გამოყენებული სასაქონლო კოდების არსებული ჩამონათვალი სრულად არ ფარავს მგვ რეგულირების სფეროში მოქცეულ შესაბამის პროდუქციას.***

მოკვლევის ფარგლებში, სააგენტოსთვის არსებითად საინტერესო იყო წევრობიდან გასვლის შესახებ განაცხადის წარდგენისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების ვადების ურთიერთმიმართება. მოქმედი წესდების 9.4 პუნქტის შესაბამისად, ასოციაციიდან ნებაყოფლობით გასვლის შესახებ განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს საანგარიშო პერიოდის 20 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშო პერიოდის 5 იანვრისა, ხოლო წარმოდგენილ განცხადებაზე განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადად განსაზღვრულია იანვრის თვის ბოლო რიცხვი. თავის მხრივ, მომჩივანი მიუთითებდა, რომ ამგვარი ჩანაწერი ერთგვარ ბუნდოვანებას იწვევს და ქმნის შთაბეჭდილებას, რომ წევრი მწარმოებლისთვის იწყება ახალი საანგარიშო პერიოდი და უგრძელდება წევრობა წლის ბოლომდე. ახალი წესდებით განისაზღვრა, რომ წევრობიდან გასვლის სურვილის შემთხვევაში შესაბამისი განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს საანგარიშო წლის 20 დეკემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, თუმცა არაუგვიანეს მომდევნო საანგარიშო წლის 5 იანვრისა. ამასთან, ***განცხადების წარდგენის მომენტისთვის*** წევრს სრულად უნდა ჰქონდეს შესრულებული მგვ ორგანიზაციის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებები. მოპასუხის განმარტებით, 5 იანვრამდე განცხადების წარდგენის შესაძლებლობის გათვალისწინება განპირობებული იყო წლის ბოლოს არსებული დასვენებისა და სადღესასწაულო დღეებით და მიზნად ისახავდა იმ წევრებისთვის დამატებითი შესაძლებლობის უზრუნველყოფას, რომლებიც 31 დეკემბრამდე ვერ მოახერხებდნენ

შესაბამისი განცხადების წარდგენას.[61] მოპასუხემ ასევე განმარტა, რომ წევრობიდან გასვლის შესახებ განაცხადის განხილვისას ასოციაცია აფასებს წევრის მიერ ფინანსური ვალდებულებების სათანადოდ შესრულების საკითხს. აღნიშნულის შეფასების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ***ასოციაციას შეუძლია მოითხოვოს სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობა, მათ შორის, იმ პერიოდის მონაცემების გათვალისწინებით, როდესაც წევრი კომპანია წევრობიდან გასვლის შესახებ განცხადებას წარადგენს. მოპასუხის განმარტებით, ცნობის წარდგენის მოთხოვნა დაკავშირებულია ინფორმაციის სრულყოფილად გამოკვლევასთან, რადგან სხვაგვარად ასოციაციას არ აქვს შესაძლებლობა დაადგინოს რამდენად ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ახორციელებდა ასოციაციის წევრი ფინანსურ ანგარიშსწორებას მგვ-ს წინაშე მისი წევრობის სრულ პერიოდში.***[62] ამასთან, მოპასუხის განმარტებით, შემოსავლების სამსახურის შესაბამისი ცნობის წარმოდგენა ყველა შემთხვევაში არ მოითხოვება და მისი საჭიროება განისაზღვრება კონკრეტული წევრის მიერ ანგარიშგებისა და დეკლარირების ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის მიხედვით. კერძოდ, თუ წევრი სისტემატურად და სრულად ასრულებს შესაბამის ვალდებულებებს და ასოციაციას არ გააჩნია დამატებითი საფუძველი ინფორმაციის გადასამოწმებლად, ცნობის მოთხოვნის აუცილებლობა შესაძლოა არ არსებობდეს. ხოლო არასრულყოფილი დეკლარირების, ინფორმაციის დაგვიანებით წარდგენის ან სხვა გარემოებების არსებობის შემთხვევაში, ასოციაციას შეუძლია დამატებითი დოკუმენტაციის, მათ შორის, შემოსავლების სამსახურის ცნობის მოთხოვნა.

ამ კონტექსტში, ***სააგენტომ ასევე შეაფასა ის საკითხი, თუ რა მომენტისთვის განისაზღვრება წევრი კომპანიის ფინანსური ვალდებულების საბოლოო მოცულობა და, შესაბამისად, რა თარიღისთვის უნდა ჩაითვალოს აღნიშნული ვალდებულება დასრულებულად.*** მოპასუხის განმარტებით, ფინანსური ვალდებულების „ჩაკეტვა“ უკავშირდება შესაბამისი ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობის წარმოდგენის თარიღს და არა ასოციაციის მიერ წევრობიდან გასვლის შესახებ განცხადებაზე გადაწყვეტილების მიღების თარიღს. შესაბამისად, თუ წევრი კომპანია შესაბამის ცნობას, მაგალითად, 5 იანვარს წარმოადგენს, ხოლო ასოციაციის მიერ წევრობიდან გასვლის შესახებ გადაწყვეტილება მოგვიანებით, მაგალითად, 20 იანვარს მიიღება, ფინანსური ვალდებულების საბოლოო მოცულობა მაინც 5 იანვრის მდგომარეობით განისაზღვრება. ამასთან, აღნიშნული ცნობა უნდა ასახავდეს, სულ მცირე, 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ მონაცემებს, ვინაიდან წევრობიდან გასვლის ფინანსური ანგარიშსწორება დაკავშირებულია შესაბამისი საანგარიშო წლის დასრულებასთან.[63]

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ***სააგენტო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წევრობიდან გასვლის შესახებ განცხადების განხილვის პროცესში წევრის ფინანსური ვალდებულების საბოლოო მოცულობა განისაზღვრება შესაბამისი ცნობის წარმოდგენის თარიღის მდგომარეობით.*** ამასთან, აღნიშნული თარიღის შემდგომ პერიოდზე წევრის მიმართ დამატებითი ფინანსური ვალდებულების დარიცხვა არ ხორციელდება. შესაბამისად, განცხადების განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების მიღებისთვის განსაზღვრული

[61] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1, 58:45-1:00:20 წთ
[62] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1, 1:00:40-1:04:40 წთ
[63] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N1, 58:40-01:09:12 წთ

პერიოდი არ იწვევს წევრის ფინანსური ვალდებულების გაგრძელებას და არც წევრობის ავტომატურად გაგრძელებას გულისხმობს. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღების საბოლოო ვადად 31 იანვრის განსაზღვრას, მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული ვადა დაკავშირებულია წევრის მიერ ასოციაციის წინაშე არსებული ფინანსური ვალდებულებების სრულად დადგენის, შესაბამისი ფინანსური ურთიერთანგარიშსწორების განხორციელებისა და წევრობიდან გასვლის საკითხის სათანადოდ ადმინისტრირების საჭიროებასთან. შესაბამისად, სააგენტო მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ იანვრის ბოლომდე განსაზღვრული ვადა ემსახურება არა წევრობის ან ფინანსური ვალდებულების დამატებით გაგრძელებას, არამედ წევრობიდან გასვლის პროცესის დასრულებისთვის საჭირო ადმინისტრაციული და ფინანსური პროცედურების განხორციელებას.

თავის მხრივ, ***მომჩივანმა ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ფარგლებში გამოთქვა ვარაუდი[64], რომ იანვრის თვის რეციკლირების გადასახადის გადახდის შემთხვევაში მოპასუხეს შესაძლოა დავა წამოეწყო და ეჭვქვეშ დაეყენებინა მისი ასოციაციიდან გასვლის შესაძლებლობა იმ საფუძვლით, რომ აღნიშნული გადახდით კომპანია ახალი საანგარიშო წლის ციკლში ჩაერთვებოდა.***[65] ამასთან, მომჩივნის აღნიშნული მოსაზრება არ არის გამყარებული საქმეში წარმოდგენილი რაიმე კონკრეტული მტკიცებულებით და ეფუძნება მხოლოდ მის ვარაუდს მოპასუხის შესაძლო ქცევასთან დაკავშირებით. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გამოკვეთილი გარემოებები აღნიშნულს არ ადასტურებს. კერძოდ, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი კორესპონდენციის ასლის[66] შესაბამისად, 2026 წლის 16 იანვარს ასოციაციამ შპს „კორეან ელექტრონიქსს“ წერილობით აცნობა, რომ ასოციაციის წევრობის შეწყვეტის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა ასოციაციის წინაშე არსებული ფინანსური დავალიანების დაფარვა. ამავე წერილით, კომპანიას ეთხოვა სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტიდან შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა მის მიერ საქართველოს ბაზარზე განთავსებული პროდუქციის შესახებ, 2022 წლის 29 ივნისიდან, ანუ წევრობის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან, შესაბამისი ცნობის გაცემის დღემდე პერიოდის ჩათვლით. ***განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ აღნიშნულ კორესპონდენციაში მოპასუხე მკაფიოდ უთითებს, რომ სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობის ასოციაციაში წარდგენისა და მასზე დაყრდნობით ურთიერთანგარიშსწორების განხორციელების შემდეგ, კომპანიას შეუწყდებოდა ასოციაციის წევრობა, ასოციაციის წესდების, წევრობის ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.***

ამდენად, საქმის მასალებით არ დასტურდება მომჩივნის მიერ გამოთქმული ვარაუდი, რომ იანვრის თვის რეციკლირების გადასახადის გადახდა მოპასუხის მიერ შესაძლოა მიჩნეულ იქნეს წევრობის გაგრძელების საფუძვლად ან რომ აღნიშნული გარემოება თავისთავად გამორიცხავდა კომპანიის მიერ ასოციაციის დატოვებას. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაცია და საქმის ფარგლებში დადგენილი გარემოებები მიუთითებს, რომ ასოციაციის მიერ კომპანიის წევრობის შეწყვეტა დაკავშირებული იყო კომპანიის მიერ არსებული

[64] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N2, 27:00-27:27; 29:45-30:35 წთ

[65] ინდივიდუალური ახსნა-განმარტებითი შეხვედრის ოქმი N2, 16:50-17:25 წთ

[66] სააგენტოში შემოსული წერილი (რეგ. N01/3625; 27.04.2026)

ფინანსური ვალდებულებების სრულად შესრულებასა და შესაბამის ანგარიშსწორებასთან. აღნიშნული გარემოება არსებითად მნიშვნელოვანია მომჩივნის მიერ მითითებული „ჩაკეტილი წრის“ არსებობის შეფასებისას.

სააგენტო ხაზს უსვამს, რომ მგვ-ის ორგანიზაციიდან გასვლა არ ათავისუფლებს მწარმოებელს წევრობის პერიოდში წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებისგან, პირიქით, აღნიშნული ფინანსური ვალდებულებების სრულად დაფარვა წარმოადგენს წევრობის შეწყვეტის წინაპირობას. სააგენტოს შეფასებით, მოპასუხე ასოციაციის მიერ მოთხოვნილი ქმედებები (განაცხადის წესდებით გათვალისწინებულ დროს წარდგენა, ურთიერთანგარიშწორების ვალდებულების შესრულება) არ წარმოადგენს მისი დისკრეციული ან ცალმხრივად განსაზღვრული კომერციული პოლიტიკის გამოვლინებას, არამედ ემსახურება კანონმდებლობითა და ტექნიკური რეგლამენტით პირდაპირ განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფას. შესაბამისად, საქმეში გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით, მოპასუხის მოთხოვნები უნდა შეფასდეს როგორც ნორმატიული ჩარჩოს აღსრულების უზრუნველყოფისკენ მიმართული ქმედებები და არა როგორც კონკურენციის შეზღუდვისკენ მიმართული ქცევა. ამდენად, არ იკვეთება გარემოება, რომ აღნიშნული წინაპირობების შესრულების შემთხვევაში მოპასუხე უარს აცხადებდა წევრობის შეწყვეტის განხორციელებაზე ან ქმნიდა დამატებით, რეგლამენტით გაუთვალისწინებელ ბარიერებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოების პროცესში დამუშავებული და დამატებით მოპოვებული ინფორმაციის ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტოს შეფასებით, არ დგინდება მომჩივნის მიერ სადავოდ გამხდარი ფაქტობრივი გარემოებების სამართალდარღვევად კვალიფიკაციის შესაძლებლობა და შესაბამისად, მას უარი უნდა ეთქვას საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ზ^2 “ ქვეპუნქტების, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, „საქმის მოკვლევის წესის და პროცედურის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 28 ოქტომბრის №40 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და 29-ე მუხლის შესაბამისად, სააგენტომ

გადაწყვიტა

1. არ დადასტურდეს ა(ა)იპ „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ (ს/ნ 406350112) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის დარღვევის ფაქტი.

2. ა(ა)იპ „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციის“ (ს/ნ 406350112) და მგვ ორგანიზაციის წევრ მწარმოებლების/პოტენციურ წევრ მწარმოებლების მიმართ გაიცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის სამინისტროს მიმართ გაიცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

4. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ გაიცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

5. სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ გაიცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია.

რეკომენდაციები

სასაქონლო და მომსახურების ბაზრებზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს უზრუნველყოფის, ეკონომიკური აგენტების კანონიერი ინტერესების დაცვისა და დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ზ[2]“ და მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტების თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, შესაბამის სასაქონლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს გაუმჯობესებისა და გაჯანსაღების მიზნით, განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები წარუდგინოს როგორც, ამ ბაზარზე ოპერირებად/პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს, ისე შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს წარდგენილ იქნეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციები როგორც მომჩივანი ეკონომიკური აგენტისა და შესაბამისი ბაზრის სუბიექტების მიმართ, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების, კერძოდ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის მიმართ:

I. **შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/აგენტების მიმართ:**

რეკომენდაცია N1. მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ასოციაციის წევრობის შეწყვეტასთან დაკავშირებული წესდებით განსაზღვრული პროცედურები წევრ მწარმოებლებში ბუნდოვანებას იწვევს, რაც აღნიშნული დებულებების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის საფუძველი ხდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციას“ (ს/ნ: 406350112) მიეცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია:

უზრუნველყოს წესდებით განსაზღვრული წევრობის შეწყვეტის მარეგულირებელი ნორმების სრულყოფა და დახვეწა.

აღნიშნული დებულებები უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს მკაფიო, გასაგები, წევრი მწარმოებლებისთვის წინასწარ განჭვრეტადი და გამორიცხავდეს მათი განსხვავებული ან ორაზროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას. ამ მიზნით, ასოციაციის წესდებით მკაფიოდ უნდა განისაზღვროს: წევრობიდან გასვლის შესახებ წარდგენილი განაცხადის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცედურა და ვადები; ფინანსური ვალდებულებების დაანგარიშებისა და საბოლოო ანგარიშსწორების წესი და ვადები, მათ შორის, ცალსახად უნდა განისაზღვროს, რომ წევრი მწარმოებლის ფინანსური ვალდებულების საბოლოო მოცულობა დგინდება სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი ცნობის თარიღის მდგომარეობით და აღნიშნული თარიღის შემდგომ პერიოდზე წევრ მწარმოებელს დამატებითი ფინანსური ვალდებულება არ დაერიცხება; აგრეთვე ისიც, რომ წევრობიდან გასვლის შესახებ განაცხადის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცედურის ახალ საანგარიშო წელს გაგრძელება არ გულისხმობს წევრობის გაგრძელებას ახალი საანგარიშო წლის ბოლომდე; ასოციაციიდან გასვლის შემთხვევაში წევრის მიერ დამატებითი დოკუმენტაციის, მათ შორის, სსიპ შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული ცნობის წარდგენის საფუძვლები და შესაბამისი პროცედურები.

რეკომენდაცია N2. მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მოპასუხისთვის მის საქმიანობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს წევრი მწარმოებლების მიერ დეკლარირებული ინფორმაციის სიზუსტის დამოუკიდებლად გადამოწმების შეზღუდული შესაძლებლობა. კერძოდ, ასოციაციას არ გააჩნია შესაბამისი სამართლებრივი ან ტექნიკური ბერკეტი, რომლის საფუძველზეც დამოუკიდებლად გადაამოწმებდა მწარმოებლის მიერ იმპორტირებული და ბაზარზე განთავსებული პროდუქციის მოცულობის შესახებ წარდგენილი ინფორმაციის სისწორეს. აღნიშნული მონაცემების სიზუსტე მნიშვნელოვანია როგორც რეციკლირების გადასახადის სათანადოდ გაანგარიშებისთვის, ისე მგვ ორგანიზაციის მიერ სახელმწიფოს წინაშე კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშგების ვალდებულებების სათანადოდ შესრულებისა და საქმიანობის სამომავლო დაგეგმვისთვის.

საკონსულტაციო შეხვედრის ფარგლებში სსიპ შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ გადასახადის გადამხდელის შესახებ ინფორმაცია საგადასახადო საიდუმლოებას განეკუთვნება და მისი სხვა პირისთვის, მათ შორის მგვ ორგანიზაციისთვის,

გადაცემა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი გადასახადის გადამხდელის წერილობითი/ელექტრონული თანხმობის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ რიგ მგვ ორგანიზაციებს წევრ მწარმოებლებთან დადებულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებული აქვთ შესაბამისი თანხმობა, რომლის საფუძველზეც მგვ ორგანიზაციას შესაძლებლობა აქვს, უშუალოდ სსიპ შემოსავლების სამსახურისგან შეუზღუდავად მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაციას“ (ს/ნ: 406350112) და მგვ ორგანიზაციის წევრ მწარმოებლებს/პოტენციურ წევრ მწარმოებლებს მიეცეთ განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია:

მგვ ორგანიზაციასა და მის წევრ მწარმოებლებთან შორის გაფორმებულ/გასაფორმებელ ხელშეკრულებებში განისაზღვროს ისეთი პირობა, რომლის შესაბამისადაც წევრი მწარმოებელი წინასწარ აცხადებს თანხმობას, რომ მგვ ორგანიზაციამ სსიპ შემოსავლების სამსახურისგან მიიღოს ინფორმაცია მგვ ორგანიზაციის წევრთა მიერ იმპორტირებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების რაოდენობის შესახებ.

აღნიშნული პირობის გათვალისწინება ხელს შეუწყობს წევრი მწარმოებლების მიერ დეკლარირებული მონაცემების დამოუკიდებელ წყაროსთან დროულ შედარებასა და გადამოწმებას, შესაბამისი ფინანსური ვალდებულებების სწორად განსაზღვრას და მგვ ორგანიზაციის მიერ სახელმწიფოს წინაშე ანგარიშგების ვალდებულებების სათანადოდ შესრულებას. ამასთან, წევრი მწარმოებლის მიერ ასოციაციიდან გასვლის შემთხვევაში, წინასწარ გაცემული თანხმობა მგვ ორგანიზაციას საშუალებას მისცემს, სსიპ შემოსავლების სამსახურისგან საჭირო ინფორმაცია დროულად გამოითხოვოს (დამატებითი თანხმობის მოთხოვნის გარეშე), რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს წევრობიდან გასვლის პროცედურის ოპერატიულად წარმართვას.

II. აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების მიმართ

რეკომენდაცია N1. როგორც უკვე აღინიშნა, მოკვლევის ფარგლებში გამოკვეთილი ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია მგვ ორგანიზაციის წევრი მწარმოებლების მიერ დეკლარირებული მონაცემების სიზუსტე, რაც შესაბამისი ფინანსური ვალდებულებების ზუსტად განსაზღვრას ართულებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურს მიეცეთ სავალდებულო რეკომენდაცია:

შეისწავლონ სამინისტროს და სსიპ შემოსავლების სამსახურის შესაბამისი საინფორმაციო სისტემებისა და რეესტრების ურთიერთთავსებადობისა და სინქრონიზაციის შესაძლებლობები და, შეფასების შედეგების გათვალისწინებით, უზრუნველყონ არსებული რეესტრების გაუმჯობესება ან ერთიანი ელექტრონული პლატფორმის შექმნა.

აღნიშნული სამინისტროს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს წევრი მწარმოებლების მიერ იმპორტირებული და ბაზარზე განთავსებული შესაბამისი პროდუქციის შესახებ სანდო და განახლებული რაოდენობრივი მონაცემები. ამგვარი მექანიზმის არსებობა ხელს შეუწყობს მგვ სისტემის ფარგლებში დეკლარირებული მონაცემების სიზუსტის ეფექტიან გადამოწმებას, რაც თავის მხრივ, გააუმჯობესებს სამინისტროს კონტროლის მექანიზმს და შექმნის ალტერნატიულ წყაროს მონაცემების ურთიერთშედარებისა და გადამოწმების მიზნით. აღნიშნული, ასევე ხელს შეუწყობს წევრი მწარმოებლების ფინანსური ვალდებულებების სწორად განსაზღვრას და შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელებას.

რეკომენდაცია N2. მოკვლევის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა სასაქონლო კოდების არსებული ჩამონათვალის სისრულის პრობლემა, რაც, მოპასუხის შეფასებით, ართულებს მგვ რეგულირების სფეროში მოქცეული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების სრულად იდენტიფიცირებას და, შესაბამისად, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს რეციკლირების გადასახადის სწორად განსაზღვრაზე. <u>აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიეცეს განსახილველად სავალდებულო რეკომენდაცია:</u>

<u>შეაფასონ „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით</u> მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ელექტრონული რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №2-774 ბრძანებით განსაზღვრული <u>სასაქონლო კოდების ჩამონათვალის სისრულე და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს მისი სრულყოფა იმგვარად,</u> რომ აღნიშნული ჩამონათვალი სრულად მოიცავდეს საქართველოს მთავრობის 2020 წლის 25 მაისის №326 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების სახეობებს, მათ შორის, ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებულ გამონაკლისებს.

რეკომენდაცია N3. მოკვლევის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მოპასუხისთვის ერთ-ერთ გამოწვევას წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის წარსადგენ სამოქმედო გეგმაში ასახული საპროგნოზო მონაცემების შემდგომი კორექტირების შესაძლებლობის არარსებობა. კერძოდ, სამოქმედო გეგმის წარდგენასა და წლის ფაქტობრივი შედეგების დადგენას შორის პერიოდში შესაძლოა შეიცვალოს როგორც ორგანიზაციის წევრთა შემადგენლობა, ისე ბაზარზე ფაქტობრივად განთავსებული პროდუქციის მოცულობა, რის გამოც თავდაპირველად განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებლები შესაძლოა აღარ შეესაბამებოდეს ფაქტობრივ მონაცემებს. <u>საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიეცეს განსახილველად საცალდებულო რეკომენდაცია:</u>

<u>დაუშვას მგვ ორგანიზაციის მიერ წარდგენილ სამოქმედო გეგმაში ასახული საპროგნოზო მონაცემების კორექტირებისა და დაზუსტების შესაძლებლობა,</u> ისეთი ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, როგორიცაა ორგანიზაციის წევრთა შემადგენლობის ცვლილება ან ბაზარზე ფაქტობრივად განთავსებული პროდუქციის მოცულობის სამოქმედო

გეგმით განსაზღვრულ საპროგნოზო მაჩვენებლებთან შეუსაბამობა. აღნიშნული ხელს შეუწყობს მგვ ორგანიზაციის ეკონომიკური საქმიანობის მოქნილად წარმართვას.